# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 თებერვალი 2004 №31 (2050) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათას ერთი ღამის ათას ერთი ზღაპარი





## დასრულდება როდის?

## ბაირამ თუთუმლუს ანრი მიშელის თვალები აეჭვებს







## ალენ ჟირესი თუ ანატოლი ბიშოვეცი

## რას შეუკვეთავს ჟორდანია: ფრანგულს თუ უკრაინულს?

## ახ, გერმანია!

### მწვრთნელი მაინცში მაინც გვეღირსოს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩი გაახერხა. მეტოქე გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებია. შეხვედრა 28 ან 29 მარტს გერმანულ მაინცში შედგება.

ქართულ-გერმანულ სპარინგმატჩზე მოლაპარაკება ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჯერ კიდევ შემოდგომაზე წამოიწყო მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტ და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერთან. საქმე კი ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ გერმანიში ვიზიტისას გაასრულა.

გუშინ ფედერაციაში გერმანიიდან ფაქსი მოვიდა — თუ გსურთ, ახალგაზრდული ნაკრებით ვეთამაშებით თქვენს ეროვნულ გუნდსო. ჩვენებს საწინააღმდეგო, აბა, რა ექნებოდათ და ამ დღეებში გერმანელებს შეთავაზებაზე თანხმობით უპასუხებენ.

*გუშინ თბილისში ბაირამ თუთუმლუ ჩამოვიდა, ანრი მიშელის თურქი აგენტი და, ცხადია, მერაბ ჟორდანიას შეხვდა. მაგრამ თუთუმლუ უხურჯინოდ ჩამოვიდა, რადგან ნაკრები კვლავაც უმწვრთნელოდ დაგვირჩა. თუმცა თურქი ნიათიანი კაცია და ფუჭად აქეთ-იქით არ დადის*



# ფრენჩ კანკალი
## მიშელი ცეცხლს ვერ აფრქვევს

მოკლედ, თუთუმლუ ნაშუადღევს შეხვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. რა ხდება, მიშელი გამოდის თუ არა? თუთუმლუ ამბობს, მიშელი ქარიზმატული, გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელია, მიშელმა იცის, გუნდი როგორ ჩამოაყალიბოს.

მაგრამ საქართველოს ნაკრები სპეციფიკური შემთხვევაა — უცხოელი მწვრთნელი ჩვენი უპირველესი ნაკრებისთვის ლამის მესიაა, ის არის ერთადერთი, ვისი იმედიც დაგვრჩა — არ მოგვეპოვება ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული გეგმა და გვინდა შედეგი.

მიშელი ითხოვს ფულს, მაგრამ გარანტიას არ გამოდის. ფეხბურთი ფეხბურთია, წინასწარ ვერაფერს იტყვი, მაგრამ მწვრთნელმა ხომ უნდა თქვას — ჩამაბარეთ გუნდი და ქვას გავხეთქავ, ვინც კი წინ დამხვდება, დავლეწავ — მიშელს ეგეთები არ უთქვამს, მის თვალებში ცეცხლი არ ანთია.

ყოველივე, რაც ზედა აბზაცში წაიკითხეთ, ჩვენი მოგონილი არ არის — ასეთია თუთუმლუს მოკრძალებული ამანათი ქართველებისთვის.

— მოკლედ, მიშელი არ გამოდის?

— თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს, მიშელს მყისვე ჩამოგიყვანთ — გვიპასუხა თუთუმლუმ.

ერთი სიტყვით, მიშელზე თავს ვერავინ დებს და არც მიშელი იწვის შეუპოვრობით. „საქართველო ჩემგან შორსაა" — უთხრა კიდეც „სარბიელს" სატელეფონო საუბარში მიშელმა.

„მიშელის გულისთვის ჩავედი მაროკოში, ბეირუთში, საქართველოში და ამისთვის ფული ჩემი ჯიბიდან გავიღე. გულით მსურდა და მსურს ცნობილი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებისთვის, მაგრამ მიზნის მისაღწევად ის მწვრთნელი თავდაჯერებული უნდა იყოს" — გვითხრა თუთუმლუმ.

ვინძლო, ქართველები — ჯამარაული და დემეტრაძე — მიშელის გარეშე მაინც არ დარჩნენ. თუთუმლუმ დაგვიდასტურა, რომ მიშელს რამდენიმე მენეჯერმა დონეცკის „მეტალურგის" გაწვრთნა შესთავაზა. „მიშელმა ამის შესახებ დამირეკა და მითხრა, შენს გარეშე ამ შემოთავაზებას ვერ განვიხილავო" — განგვიმარტა თუთუმლუმ.

ალენ ჟირესი — კიდევ ერთი ფრანგი სპეციალისტი, ვინც ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატია. ჟირესს აგენტი არა ჰყავს, მაგრამ თუთუმლუს თქმით, მას შეუძლია ჟირესთან საქმის დაჭერა, თუ ეს ჩვენი ფედერაციის ნება იქნება.

— ჟირესის რანგის მწვრთნელს თვიურ გასამრჯელოდ 20-25 ათასი ევრო დასჭირდება. მაგრამ ჩვენ მწვრთნელს შედეგის მიხედვით უნდა მივცეთ პრემიები. კონტრაქტის ვადა, შესაძლოა, ერთი პლუს ერთიც იყოს — გააჩნია წლიურ მონაგარს. ვფიქრობ, ჟირესი დიდი ჟინით შეუდგება საქართველოს ნაკრების გაწვრთნას — ვარაუდობს თუთუმლუ.

თურქმა აგენტმა ჟორდანიას მარიო კემპესზეც ჩამოუგდო სიტყვა. კემპესი ახლა ესპანეთში ცხოვრობს და უმუშევარია. თუმც მისი საქართველოში ჩამოყვანის პერსპექტივაც ძალიან მცირეა — თუთუმლუს ეს ვარიანტი ჩვენი ფედერაციისთვის ნაკლებად მომხიბვლელია.

გუშინვე სასტუმრო „მარიოტში" ჟორდანია ერთხელაც ესაუბრა თურქ აგენტს და ფედერაციის პრეზიდენტმა ჟურნალისტებიც მიგვიპატიჟა — გულწრფელი, საქმიანი და მეგობრული პოლემიკა იმით დამთავრდა, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ჟორდანია ჯერ არ ასახელებს.

დღეს კი თუთუმლუ კომპანია „ჯეოსელის" თურქ მესვეურებს შეხვდება. „ჯეოსელის" თურქული მხარე იმ თურქული სატელეფონო კომპანიის შვილობილია, „ფენერბაჰჩეს" რომ სპონსორობს და თურქეთის ჩემპიონატის ტელეტრანსლაციების უფლება მოუპოვებია. თუთუმლუ შეეცდება, ეს თურქები ქართული ფეხბურთისკენაც გამოახედოს.

**დავით თავართქილაძე**



# ბურდული: რა მქიმმა კიევის ბურდული

**ეროვნულ ნაკრებში** გამოძახებული ლადო ბურდული კვიპროსზე ვერ ჩავა: კიევის „დინამოსთან" ერთად ესპანურ შეკრებაზე მყოფ ბურდულს ერთ-ერთი ვარჯიშისას კოჭი ამოუტრიალდა და ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ბუნებრივია, ლადო დათრგუნულია მომხდარით, რაკიღა ბევრიც არაფერი რჩებოდა კიევის „დინამოსთან" კონტრაქტის გაფორმებამდე. ლადოს შეშფოთება საფუძვლიანია, თუმც კიეველები ისე იყვნენ მისი გადაბირებით მოწადინებული, საეჭვოა, მომხდარის გამო ბურდულის აყვანისგან თავი შეიკავონ.

— ეს კოჭი „ტორპედოსთან" მატჩისას ვიღრძე, მაშინ ორი თამაშის გამოტოვება მომიხდა, მეგონა, ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი, ამის გულისთვის თუ კიეველებთან კონტრაქტი ჩამეშალა, ბედი არ მქონია და ეგ არის — გვითხრა ლადომ, გუშინ ესპანეთში რომ შევეხმიანეთ.

— კიეველებიც შეწუხდებოდნენ მომხდარით...

— თან გადამყვნენ, დაუყოვნებლივ ვალენსიაში წამიყვანეს, საფუძვლიანად გამასინჯეს ექიმებს, რომლებმაც თაბაშირთან ერთად სამკვირიანი უქმობაც გამომიწერეს. ძალიან შეწუხებული იყო მთავარი მწვრთნელი. მიხაილიჩენკომ თავად მომიტანა ყავარჯნები და გამამხნევა.

— ესპანეთში კლუბის პრეზიდენტი სურკისიც ჩამოვიდა. სხვებთან ერთად ისიც მოწადინებული იყო, კიევში რომ გადაეყვანე...

— მეც ამის იმედი მაქვს. სურკისი ცუდი თვალით არ მიყურებს, მასზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული. თანაც ესპანელმა ექიმებმა გარანტია მისცეს კიეველებს, რომ სამი კვირის თავზე კოჭი ბოლომდე მომიშუშდება.

**დავით ერაძე**



# ჟორდანიას მენიუ
## რას აირჩევს პრეზიდენტი?

— **საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციას აქვს იმის საშუალება, რომ ფრანგი ანრი მიშელის მოთხოვნები დააკმაყოფილოს და მას ნაკრები ჩააბაროს. პრობლემა სხვაა, აგერ, მისი აგენტი, მან დღეს მეგობრულად გვითხრა, მიშელის თვალებში ცეცხლი ვერ დავინახეო — ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მიშელის თურქი აგენტის ბაირამ თუთუმლუს სიტყვები გაგვიმეორა და მერე საქართველოს ნაკრების შესაძლო თავკაცებზე ჩვენი აზრითაც დაინტერესდა. რა უნდა გვეთქვა, როცა ბევრიც არაფერი ვიცოდით, თუმც ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ერთი-ორი ფრაზა კი გვენიშნა. მაგალითად, ეს: „ანატოლი ბიშოვეცის კანდიდატურა ჩემს გულთან უფრო ახლოა" — თქვა მერაბ ჟორდანიამ, რომელსაც ბიშოვეცთან პირადად ჯერ არ უსაუბრია, თუმც მისი სიტყვები მწვრთნელამდე უკვე მიტანილია და პასუხიც შემოთვლილია — დაგთანხმდებით იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში მართლა გსურთ.

მერაბ ჟორდანიას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და მწვრთნელის ვინაობას, ის სავარაუდოდ, ვერც დღეს დაასახელებს, ფედერაციის პრეზიდენტს წინ კიდევ აქვს რამდენიმე შეხვედრა.

— საქართველოს ნაკრებს 18 თებერვლამდე მწვრთნელი ეყოლება — გვითხრა დამშვიდობებისას ჟორდანიამ, თუმც ის აღარ დაუკონკრეტებია, მწვრთნელი ნაკრებს კვიპროსზე დახვდება, თუ ჩააკითხავს.

ახლახან ვწერდით, ანატოლი ბიშოვეცი დღესდღეობით სწორედ კვიპროსზეა და იქიდან გამგზავრებას სწორედ 18-ში აპირებს. 18-ში საქართველოს ნაკრებს კვიპროსის ტურნირზე პირველი მატჩი აქვს რუმინელებთან.

ჟორდანიას სიაში სამი კანდიდატია — ბიშოვეცი, ჟირესი და მიშელი, აქა-იქ ნახსენები იყო არგენტინელი მარიო კემპესის სახელიც, თუმც, ვეჭვობთ, ფედერაციის პრეზიდენტი მასზე სერიოზულად ფიქრობდეს. დანარჩენი სამიდან ნაკრების თავკაცობის ნაკლები შანსი, შთაბეჭდილება დაგვრჩა, ანრი მიშელს აქვს, საქართველოს ნაკრებისადმი მისი განწყობის გამო. ჟირესს — ბიშოვეცს შორის კი, ჩვენი ვარაუდით, უპირატესობა უკრაინელისკენაა. თუმც საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამტკიცებს, ნაკრები ჟირესის იქნებაო.

მოკლედ, ნაკრების მწვრთნელის საკითხი უახლოეს ორ-სამ დღეში უნდა გაირკვეს.

მიშელზე უკვე ვთქვით, კემპესის კვალიფიკაციაზე არავის არაფერი სმენია... ბიშოვეცი და ჟირესი კი... ბიშოვეცმა, ჩამოვალ, თუ გერმანიაში წასვლა გსურთო, ჟირესს მაგარი მწვრთნელობის ამბიცია ჰქონია...

იქამდე კი, ვიდრე ჩვენ ვმარჩიელობთ, ფედერაციის პრეზიდენტს, ემანდ, სხვა მწვრთნელი არ ჰყავდეს შეგულებული.

**კობა ინასარიძე**

# ამერმა ყაზახები გაიცნო
## მაგრამ სად იყვნენ ყაზახები?

**მეორე** საკონტროლო მატჩი „ამერმა" ყაზახეთის უმაღლესლიგელ „აქტობე-ლენტოსთან" გამართა და 1:3 დამარცხდა, ყაზახთა შემადგენლობაში შვიდი უკრაინელი და რამდენიმე ლიტველი ლეგიონერი თამაშობდა.

შეხვედრის დაწყებისთანავე გაწვიმდა და 90 წუთი არც გადაუღია. ავდარმა ოთხიდან სამ გოლში თავისი წილი დაიდო. სველი ბურთის მორჯულება გუნდებს უჭირდათ და ორმხრივი წუნიც ბევრი იყო. მიუხედავად ამისა, თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ყაზახური კლუბი ქვეყნის ჩემპიონატში მე-5 ადგილზე გავიდა და კლასი მის თამაშში აშკარად ჩანდა. აქტობელებმა პირველი ტაიმის ნახევარი თბილისელთა წილ მოედანზე გალიეს და ამ დროში ორჯერ იხეირეს. ისინი მეტოქეზე სწრაფად მოძრაობდნენ და ბურთის თავისუფლად მიღება-დამუშავების ნებას არ აძლევდნენ, თუმც გოლები ქართველთა კარში ყაზახთა კომბინაციებს არ მოჰყოლია.

პირველი გოლი კუთხურის ჩაწოდებას მოჰყვა — ბურთი საჯარიმოში მცველთა ფეხებიდან ასხლტა და უმეთვალყურეოდ დარჩენილ კრივენცოვს მიუგორდა. ფორვარდმა ათიოდ მეტრიდან გამეტებით დაჰკრა ზედა კუთხეში და ანგარიში გახსნა. ეს მე-6 წუთზე მოხდა.

ისევე, როგორც უნგრელებთან წინა მატჩში, „ამერის" ნახევარდაცვას შეტევების წამოწყება უჭირდა. მოედნის ცენტრში თამაში რომ ვერააწყვეს, გრძელ პასებით სცადეს ფონს გასვლა და შედეგად ორი ჯარიმა მოინადირეს. ორივე ვერემჩუკმა შეასრულა — პირველი მეკარემ დაბალი კუთხიდან გამოაძრო, მეორე კი კარის ჩარჩოს ოდნავ ასცდა.

ყაზახებმა კი მეორე გოლი გაიტანეს: კარიდან გამოსვლისას ასლანაძე ფომენკოსთან ორთაბრძოლაში ბურთს ვერ შესწვდა და ფორვარდის თავურმა „ამერის" კარის ბადე შეარხია.

ამის შემდეგ აქტობელები დაშოშმინდნენ და მეტოქე საკუთარ ნახევარზე გადაიპატიჟეს. ამერელებმა ზედიზედ ოთხი კუთხურით ვერ იხეირეს, თუმც მეხუთე ჯერზე, ტაიმის ბოლო წუთზე ხუბუას ჩაწოდებულს გოლი მოჰყვა, კრივენცოვმა ბურთი თავით საკუთარ კარში შეაგდო.

პირველი ტაიმის მიწურულს და მეორის მსვლელობისას თამაზ კოსტავამ რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა და „ამერის" თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ბექა გოცირიძემ შესვლისთანავე მეტოქის მცველები დააწიოკა და გვარიანად ანერვიულა. მან ერთი მადლიანი მაკრატელაც დაჰკრა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაევლო.

თბილისელთა კარში მესამე გოლი პენალტით გავიდა. ჩიხრაძე საჯარიმოს გარეთ დაეჯაჯგურა მეტოქეს, რომელიც ხაზსშიგნით წაიქცა და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

დარჩენილ დროში შეცვლაზე შესულმა ამერელებმა ცდა არ დააკლეს, მრავალფეროვნადაც უტევდნენ, კარში თუ კარისკენ უხვად ურტყეს, მაგრამ უპირატესობა გოლებად ვერ აქციეს.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ასლანაძე (ნადირაშვილი 46), კედელაშვილი, დავითნიძე, ჩიხრაძე, ბერიანიძე (შონია 46, განუგრავა 76), ვერემჩუკი (კუსრაშვილი 57), განუგრავა (გარუჩავა 24), ხუბუა, სილაგავა (მჭედლიშვილი 55), რუსია (წინამძღვრიშვილი 61), კაიდარაშვილი (გოცირიძე 46).*

15 თებერვალს ჭაბუკი ამერელები ბუდაპეშტის მტკ-ს ახალგაზრდულ შემადგენლობას შეხვდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**
*ანთალიიდან*

# სიომინმა აშვეთია მაგრად შეინახა

*ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპისთვის სამზადისმა მოსკოვური „ლოკომოტივი“ ბელგიაშიც ჩაიყვანა. რკინიგზელებმა ოთხშაბათს საკონტროლო მატჩი გამართეს ბელგიის უმაღლესი დივიზიონის მეცხრეადგილოსან „გენტთან“. იური სიომინმა გენტის „ჟიულ ოტენზე“ ორი ქართველი ათამაშა, ორივე ძირითად შემადგენლობაში*

ამპლუაშეცვლილი მალხაზ ასათიანი კვლავაც დაცვის ცენტრში გამოჩნდა, თუმც შეტევების ორგანიზებასაც ახერხებდა და დროული პასებით რამდენჯერმე გაამწვავა თამაში. მიხეილ აშვეთია კი სიმწვავითა და აქტიურობით გამოირჩა — ქართველ შემტევს პირველ ტაიმში რამდენჯერმე შეეძლო გატანა, სამჯერ მეკარემ აჯობა, ორჯერ კი კარგ პოზიციაში მყოფს მამინოვმა და ლოსკოვმა საგოლე პასები დაუგვიანეს.

მეორე ტაიმში აშვეთიამ მაინც შეძლო მასპინძელთა 2000-მდე ქომაგის დამწუხრება: ხოხლოვის პასით გაწოლილმა თავურით ანგარიში გახსნა. აშვეთიამ ეს გოლი 49-ე წუთზე გაიტანა და ექვს წუთში სიომინმა იგი პიმენოვით შეცვალა. მატჩის შემდეგ რუს ჟურნალისტებს მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილების მართებულობა ასე დაუსაბუთა: აშვეთია ჩვენი წამყვანი ფეხბურთელია და იმიტომ შევცვალე, რომ მატჩს ჩვენი მეტოქე „მონაკოს“ წარმომადგენელი ესწრებოდა. არ მინდოდა, მათთვის კარტი გამეშალაო.

აშვეთიას შეცვლიდან ოთხ წუთში მოსკოველებმა ასათიანიც დაასვენეს, „ლოკომოტივს“ კი ქართული გოლის შენარჩუნება არ გაუჭირვებია — მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „გენტი“.

მატჩის დასრულებისთანავე მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ბელგია დატოვა და გერმანულ რუიტს მიაშურა. რკინიგზელები ბოლო შეკრებას სწორედ იქ გამართავენ.

**მიხეილ აშვეთიასაც** რუიტში შევეხმიანეთ. ვარჯიშიდან ახალდაბრუნებული დაღლილი კი გვეჩვენა, მაგრამ საუბარი მაინც არ დაიზარა...

**— რუსი ჟურნალისტების თქმით, ძალიან ლამაზი გოლი გაგიტანია...**

— მართლა კარგი გამომივიდა. ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ნახტომში თავურით შევაგდე.

**— ჩანს, თანდათან ფორმაში შედიხარ...**

— ამას აშკარად ვგრძნობ. უკვე ჩვეულად ავთამაშდი და თავს შედარებით სიმსუბუქეს ვატყობ.

**— მწვრთნელმა რატომ შეგცვალა?**

— რა ვიცი, ასე ჩათვალა საჭიროდ. გოლის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვასვენა და თავის გამოჩენის შანსი სხვებს მისცა. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, ჩვეულებრივი ამბავია.

**— ადრე ამბობდი, ვარჯიშების შემდეგ თამაში გვიჭირსო...**

— „გენტთან“ ეს ნაკლებად გვაწუხებდა. მატჩამდე სამი დღე დავისვენეთ და „გენტთან“ ხარისხიანი ფეხბურთიც ვითამაშეთ.

**— რასაც თურმე „მონაკოს“ წარმომადგენელი უყურებდა...**

— ჰო, ეგ ჩვენც გავიგეთ. მატჩს „მონაკოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი დაესწრო. ეგ არაფერი, თუ რამე შეგვიძლია, მათ წინააღმდეგაც გამოგვივა.

**— კიდევ ვისთან გაქვთ ამხანაგური მატჩები დაგეგმილი?**

— გადაწყვეტილია, რომ 17-ში „შტუტგარტს“ ვეთამაშებით. მგონი, 15-ში დონეცკის „მეტალურგსაც“ შევხვდებით, მაგრამ ეს ჯერ გასარკვევია.

**— რუსულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ „ლოკომოტივი“ კიდევ ერთ თავდამსხმელს ყიდულობს...**

— ამდენი თავდამსხმელი?! არ ვიცი, მგონი, ნახევარმცველზე იყო საუბარი. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ნაკლებად მაღელვებს. ჩემი საქმე თამაში და გოლების გატანაა.

**— სიომინმა ისიც თქვა, აშვეთიას და ასათიანს ნაკრებში ვერ გავუშვებო...**

— მართალია. კვიპროსის ტურნირზე ნაკრებს ვერ დავეხმარებით.

**— ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია?**

— ფედერაციასთან უკვე შევათანხმე. საერო საქმისთვის, ალბათ, ასე აჯობებს.

**კახა შალამბერიძე**





# ალანიამ დარასელიას ეგრევე გაუგო

## კურბისმა იცის, რასაც ვაკეთებ და როგორ ვარ

**ვიტალი დარასელიას** ოსთა გუნდში გადასვლის ამბავი არახალია. „ალანიას“ მომავალი სეზონიდან დიდი გეგმები დაუსახავს და საამისოდ არც ხარჯებს ანუ ბევრისთვის შესაშურ პირობებში შეკრებების მოწყობას ერიდება. ძირითადი გუნდი ახლა საამიროებში იმყოფება, სადაც ამხანაგურ მატჩებს ატარებს. კლუბის შეკრებას ჯერაც არ შეერთებია ვიტალი დარასელია და მიზეზის დასაზუსტებლად მას მოსკოვში შევეხმიანეთ.

— თავად კლუბის ხელმძღვანელობამ არ ისურვა ჩემი შეწუხება. რომ გაიგეს, კვიპროსის ტურნირზე, ნაკრებში ვიყავი მიწვეული, მითხრეს, ამდენი მგზავრობა, თვითმფრინავში ჯდომა ხეირს არ დაგაყრისო. მოკლედ, ძალიან პროფესიულად უდგებიან საქმეს.

**— „ალანიას“ როდის შეუერთდები?**

— კვიპროსის ტურნირის შემდეგ, კლუბის მესამე მოსამზადებელ ეტაპზე.

**— არ გეშინია, რომ კლუბში მოუმზადებელი მიხვიდე?**

— არა მგონია, ეს პრობლემა გახდეს. მოსკოვში ხუთი მატჩი ვითამაშე, ახლაც ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. კვიპროსზეც მინიმუმ სამ მატჩს ხომ ვითამაშებ?! ჰოდა, მე მგონი, სათანადო ფორმაში ვიქნები.

**— „ალანიას“ ხელმძღვანელობა თუ გეხმიანება?**

— დღე არ გავა, არ დამირეკონ. ყოველდღე კითხულობენ, რას ვშვრები და რამე ხომ არ მჭირდება. კურბისმაც იცის, რას ვაკეთებ და როგორ ვარ.

**— შენი გადაბირება კურბისის ინიციატივა იყო, თუ...**

— როდესაც კურბისს ჩემი თამაშების ვიდეოკასეტა უნახავს, უთქვამს, ეს ბიჭი აუცილებლად იყიდეთო. ესენგეს თასის შემდეგ კი კონტრაქტის მეტი არაფრის გაგონება არ სურდათ.

**— შენს ამპლუაზე რა იცი?**

— მითხრეს, რომ დიდად არ შეცვლიდნენ ჩემს ამპლუას და ისევ თავდამსხმელების უკან, შემტევ ნახევარმცველად მათამაშებენ.

**დავით ერაძე**

# ალ ჯაზირა კარგს ვერაფერს იუწყება

## მენთეშაშვილი მივიდა, კალაძე წამოვიდა

**ვლადიკავკაზის** „ალანიას“ ქართველები კი ემატება, მაგრამ აკლდება კიდეც. ამ დღეებში ლევან გვაზავას და ვიტალი დარასელიას „სკონტოში“ განათხოვრებული ზურაბ მენთეშაშვილი შეემატათ. თუმც არაბულ „ალ ჯაზირასთან“ ამხანაგურ მატჩში მხოლოდ გვაზავა გამოჩნდა. ნაკრებში გამოძახებულ დარასელიას ოსებმა შეღავათი მისცეს და მომდევნო მესამე შეკრებაზე იახლებენ, ასე რომ ვიტალი ჯერაც მოსკოვშია და გუნდს არ შეერთებია. გასინჯვაზე მყოფი ანზორ კალაძე კი ოსთა ფრანგმა მწვრთნელმა როლან კურბისმა დაითხოვა.

აბუ-დაბიში ჩატარებულ მატჩში გუნდებმა განსხვავებული ტაიმები ითამაშეს. პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლებისა იყო, თუმც მერე ვლადიკავკაზელებმა იშეიხეს. გვაზავა მწვრთნელმა მე-80 წუთზე შეცვალა, როცა ანგარიში 3:1 იყო ოსების სასარგებლოდ. საბოლოოდ „ალანიამ“ 4:1 მოიგო. სომეხმა კარენ ოგანიანმა კი ჰეთ თრიქი გააკეთა.

„ალანიამ“ სამომავლო გეგმები შეიცვალა — 23 თებერვლიდან 3 მარტამდე ისევ აბუ-დაბიში შეიკრიბება. არადა, ოსები ესპანურ მარბელაში აპირებდნენ წასვლას. ამ შეკრებაზე გუნდს გვაზავა-დარასელია-მენთეშაშვილის სამეულიც გაჰყვება.

**კახა შალამბერიძე**



ზურაბ მენთეშაშვილი ისევ ალანიელია



**ოთხშაბათს** მესამე უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრა მოსკოვის „სპარტაკი“. მოსკოველთა იტალიელმა თავკაცმა ნევიო სკალამ ესპანეთში 23 ფეხბურთელი წაიყვანა. მათ შორისაა ჩვენებური გიორგი ლომაიაც, რომელიც სკალამ გუნდის მეორე მეკარედ დაასახელა პოლონელი კოვალევსკის შემდეგ.

# გიორგი ლომაიას მეორე თვითმფრინავიც გაუფუჭდა

„სპარტაკს“ გამგზავრების წინ კვლავაც პრობლემები შეექმნა თვითმფრინავთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, მოსკოველები თურქული შეკრებიდან დაბრუნებისას ბეწვზე გადაურჩნენ ტრაგედიას. სპარტაკელთა ლაინერს მაშინ მეხი დაეცა, ამჯერად კი ესპანეთში გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი გაუმართავი აღმოჩნდა და იგი სასწრაფოდ შეცვალეს.

ესპანეთში ლომაიას გუნდი ვალენსიასთან ახლოს, სასტუმრო „ელ სალერში“ დაბინავდა. ეს ის სასტუმროა, სადაც ხშირად ჩერდება ესპანეთის ნაკრები.

გვიანი გაფრენის გამო „სპარტაკს“ გუშინდელი ვარჯიში ჩაეშალა. სკალა დღეს გაიყვანს საწვრთნელად შეგირდებს, კვირას კი კორეულ LG-სთან გამოცდის გუნდს.

მოსკოველებს ესპანეთში ამ მატჩის გარდა კიდევ ორი საკონტროლო აქვთ დაგეგმილი პრიმერა-დივიზიონის გუნდებთან.

„სპარტაკი“ პირინეებზე 23 თებერვლამდე გაჩერდება, მერე კი „მალიორკასთან“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩია.

**პაატა კვანტალიანი**



*ამ ბოლო დროს კიევის „დინამო“ სულ უფრო მეტად ინტერესდება ქართველი ფეხბურთელებით. ალეკო ამისულაშვილი უკვე კიეველია, ლადო ბურდული კლუბთან ერთადაა ესპანურ შეკრებაზე. კიევში არც კვირკველიასადმი ინტერესს მალავენ. საუკეთესო უკრაინულ კლუბში ქართველთა მიგრაციას წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ამჟამად მენეჯერი რევაზ ჩელებაძე თავობს...*



# რევაზ ჩელებაძე კიევში დააჯერა

## კვირკველია: დინამო VS შახტარი

— ბატონო რეზო, ბოლო ხანს თქვენი სახელი საკმაოდ ხშირად უკავშირდება კიევის „დინამოს“...

— ამისულაშვილის ტრანსფერი გაქვთ მხედველობაში?

— რატომ მარტო ამისულაშვილის? თუმცა ჯერ ამით დავიწყოთ...

— ვიცოდი, რომ კიეველები ალეკოს ამპლუის ფეხბურთელს ეძებდნენ. მე მათ ჩემი კანდიდატი შევთავაზე, უფრო სწორად, ვთხოვე, მას დაკვირვებოდნენ. თანხმობა მივიღე, რომ ორი კვირა შეკრებაზე წაიყვანდნენ და იქ დააკვირდებოდნენ. რა იყო შემდეგ, იცით, ალეკოს თავი არ შეურცხვენია და კონტრაქტიც შედგა. ამით უკრაინელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ქართული საფეხბურთო ბაზრის პერსპექტიულობაში.

**— შემდეგ ლადო ბურდულის ჯერი დადგა. ისიც თქვენ ჩაიყვანეთ?**

— ლადოს შეძენით კიეველები ადრევე იყვნენ დაინტერესებულნი. ანდრეი ბიბამ მითხრა, რომ ბურდულის თამაში ძალიან მოსწონდა და კიევის „დინამოში“ სიამოვნებით წაიყვანდა. ლადოს აგენტი რეზო არველაძეა, მას დავუკავშირდი და დადებითი პასუხი მივიღე. დარწმუნებული ვარ, რომ ლადო თავის კონკურენტებზე ერთი თავით მაღლა დგას. ახლო მომავალში კიევში ჩასვლა მიწევს და ამ ტრანსფერთან დაკავშირებით საბოლოოდ იქ ჩამოვყალიბდებით. მჯერა, ვითარებას არ შეცვლის ლადოს ახლანდელი ტრავმა.

**— როგორც ჩანს, კიეველების ყურადღების ცენტრში ძირითადად თბილისის დინამოელები ექცევიან...**

— ასეა და ამას თავისი ლოგიკური ახსნაც აქვს: „დინამომ“ ესენგეს თასზე იმდენად კარგად ითამაშა, რომ ფინალური მატჩის შემდეგ ბიბამ მითხრა, მთელი გუნდის აყვანა შეიძლებაო.

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კიდევ უნდა ველოდოთ დინამოელებს კიევში?**

— თუ ვინმეზე შეიძლება ლაპარაკი როგორც სერიოზულ კანდიდატზე, ეს დათო კვირკველიაა. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კვირკველიას გულისთვის კიევის „დინამომ“ და „შახტარმა“ ერთმანეთი დაჭამონ. დონეცკელები კვირკველიას სანახავად აგენტებს კვიპროსზე აგზავნიან, რათა ნაკრების თამაშებზე დააკვირდნენ. ალბათ კიეველებიც იგივეს გააკეთებენ.

**— კვირკველიას აგენტი თქვენ ხართ?**

— არა, დათოს აგენტი ივანე ჯუღელია, მაგრამ თუ მისი კიევური ვარიანტი სერიოზულ დონემდე მივა, ვფიქრობ, საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება და მაშინ მეც ჩავერევი საქმეში.

**— კიევში ვიზიტი ახსენეთ, კიდევ რა მიზანს ისახავს თქვენი იქ ჩასვლა?**

— კიევში 16 თებერვალს ვიქნები, ამ დღეს შალვა აფხაზავას ორმოცია. „არსენალში“ შესაბამის პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. შალვას მეუღლეს კი კიევის მერია ოფიციალურად გადასცემს მოწმობას, რომლითაც მისი ვაჟი თვრამეტ წლამდე მამის ჯამაგირს მიიღებს.

**დავით ერაძე**

# მილჩენკო ბორჯომს გერმანიას აყოლებს

**ევროპულ** ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მსგავსად, სამეორეეტაპო სამზადისში არიან მსაჯებიც. ისინი ამჟამად შარშანდელ ოქტომბერში ანატოლი მილჩენკოს მიერ ჩამოყალიბებულ მსაჯთა აკადემიაში ისმენენ ლექციებს. მილჩენკო ორშაბათობით და ხუთშაბათობით კი ამზადებს უმცროს კოლეგებს თეორიულად, მაგრამ მსაჯებს გარკვეული პრობლემები აქვთ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, რადგან დღემდე ვერ მოხერხდა გასვლითი შეკრების მოწყობა, რაც, მილჩენკოს აზრით, ერთობ მნიშვნელოვანი და აუცილებელია. არბიტრები იმედს არ კარგავენ, რომ თუნდაც ერთი კვირით მაინც გაემგზავრებიან ბორჯომში. ტრადიციისამებრ, მილჩენკო შემაჯამებელ ნორმატივებს თებერვლის ბოლოს ჩაიბარებს. ამ თვის მიწურულს მსაჯთა ხსოვნის ტურნირიცაა დაგეგმილი, სადაც რეგიონულ ფედერაციებთან ერთად მსაჯთა კორპუსის ორი გუნდი და ჟურნალისტთა ნაკრებიც ითამაშებენ.

რამდენიმე დღის წინ მსაჯთა კომიტეტმა ფიფადან შეტყობინება მიიღო, ლევან ფანიაშვილს ფიფას მეორე კატეგორიის არბიტრის წოდება მიანიჭეს. ახლა საქართველოს სამი მოქმედი ფიფას არბიტრი ჰყავს — ფანიაშვილის გარდა ეს წოდება მერაბ მალალურაძესა და კახა მესხსაც აქვთ. ოღონდ მესხისთვის შენიშვნა მიუციათ, ინგლისურში მოიკოჭლებ და ეს პრობლემა მალე მოაგვარეო. ზუგდიდელი არბიტრიც ანატოლი მილჩენკოს დაპირებია, ინგლისურის სახელმძღვანელოებს გულდაგულ ჩავუჯდებიო.

იმედიანადაა ანატოლი მილჩენკო — სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა გუშინ გვითხრა, არ გაგიკვირდეთ, გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმაც რომ იმსაჯოსო.

**პაატა ძვანტალიანი**

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში მწვრთნელთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა გაიოზ დარსაძემ ჟურნალისტები მიიწვია და პრესკონფერენცია გამართა. მთავარი თემა უეფას მწვრთნელთა კონვენციაში საქართველოს გაწევრიანება იყო, თუმც დარსაძემ სხვა საკითხებზეც ისაუბრა...*



# საქართველო რატიფიცირებულია

— საქართველოში მწვრთნელთა მომზადების პროგრამის განხორციელება რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ეს ძალიან დიდი ნაბიჯი იყო ევროპულ ფეხბურთში ინტეგრაციისთვის. ქართული ფეხბურთის აღორძინება სწორედ მწვრთნელთა განათლებით უნდა დაიწყოს. მწვრთნელების მომზადება მთელ ევროპაში პრიორიტეტული საკითხია და მიხარია, რომ საქართველომ ამას ფეხი აუწყო, რაც უეფას მწვრთნელთა კონვენციაში გაწევრიანებით დაგვირგვინდა.

— საქართველოში მწვრთნელთა განათლებაზე ფიქრი თავის დროზე ნოდარ ახალკაცმა დაიწყო და ახლა სწორედ მის ჩანაფიქრს ვაქცევთ რეალობად. მიხარია, რომ წარმატებას მივაღწიეთ. ეს ამ ეტაპისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია ჩვენთვის.

— უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა კონვენციაში საქართველოს გაწევრიანებას ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში მოაწერა ხელი, თუმც რატიფიცირება ახლა მოხდა.

— ევროპაში ამჟამად მწვრთნელთა ლიცენზირების სამი დონე არსებობს: B, A და პროკატეგორია. საუბარია მეოთხე, C კატეგორიის შემოღებაზეც, თუმც ჩვენ B კატეგორიით დავიწყეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველ ლიცენზირებულ მწვრთნელებს კონვენციაში გაწევრიანებულ ქვეყნებში იუნიორთა ან მოყვარულთა გუნდებში მუშაობა შეუძლიათ.

— უეფას მწვრთნელთა კონვენციაში უკვე 35 ქვეყანაა გაწევრიანებული. ჩვენთან ერთად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ახლახან უკრაინა და ესტონეთიც მიიღეს.

— საქართველოში ახლა 48 ლიცენზირებული მწვრთნელია. მათ უეფას დიპლომი აქვთ და ყველანაირ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, თუმც ოდენ B დონეზე — ეს ჩვენთვის უმაღლესი კატეგორიაა ამ ეტაპზე.

— ორ-სამ წელიწადში ალბათ A კატეგორიის ლიცენზირებაზეც დავიწყებთ მუშაობას. ამ საქმეში უცხოელი ინსტრუქტორებიც დაგვეხმარებიან, თუმც მსმენელებთან ძირითადად ქართველები იმუშავებენ.

— უეფას დადგენილებით, თუ კლუბს ლიცენზირებული მწვრთნელი არ ჰყავს, 2005 წლიდან ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა. ამიტომ ამ საკითხზე დღეიდანვე უნდა დავიწყოთ ფიქრი. ჯერჯერობით საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ოთხ კლუბს ჰყავს ლიცენზირებული მწვრთნელი: ივო შუშაკი (დინამო), ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია), ზაურ სვანაძე (ლოკომოტივი) და გიორგი დევდარიანი (თბილისი).

— სადღეისოდ ევროპაში სულ 140 583 ლიცენზირებული მწვრთნელია. აქედან დაახლოებით 110 ათასი B კატეგორიისაა, 26 ათასამდე — A კატეგორიის, ხოლო 4 ათასამდე — პროკატეგორიის.

**კახა ზალამბერიძე**

# ანტი დოპინგი სიკვდილი

**ბოლო** წლებია, გამაოგნებელი ამბები ხდება — მსოფლიო ფეხბურთს სიკვდილი შეეჩვია. გავიხსენოთ კამერუნელი მარკ ვივიენ ფოე, ქართველი შალვა აფხაზავა, უნგრელი მიკლოშ ფეჰერი...

სამწუხაროდ, ეს ჩამონათვალი სრული არ არის და აკი საფეხბურთო დიდმოხელეები სერიოზულად დაფიქრდნენ ანტიდოპინგურ კამპანიაზე.

დროის მატარებელზე შეხტომა ქართველებმაც მოინდომეს და გუშინწინ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის თაოსნობით ანტიდოპინგური კომისია შეიქმნა. ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ ვალერი ახალკაცის თქმით, ეს კომისია მალე მნიშვნელოვან გამოკვლევებს ჩაატარებს და ქართველ სპორტსმენებზე კონტროლს დააწესებს.



ვალერი ახალკაცი

**კახა ზალამბერიძე**

სიახლე საქართველოში!
საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXV ტური

**არსენალი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0, 2:0 ანრი (31, 90)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, რეიესი (კლიში 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
საუთჰემპტონი: ნიემი, კენტონი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, კრეინი, ტელფერი, ა. სვენსონი (ბაირდი 27; ბიტი 81), დელაპი, ლე სო (პახარსი 82), ორმეროდი, ფილიპსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ვიეირა, პარლოუ, ბაირდი, ნიემი, მიხაელ სვენსონი
მსაჯი: ბერი
38 007 მაყურებელი

**ლიდსი 4:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 სმიტი (14), 1:1 განია (21), 2:1 მატეო (41), 3:1 მილნერი (62), 4:1 ვიდუკა (90)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ს. კოლდუელი, მატეო, დომი (ჰარტი 46), პენანტი, ბაკე, ს. ჯონსონი, მილნერი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
ვულვერჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, კ. მილერი (სილასი 62), რაე, კამერონი, კენედი, კორტი (ივერსენი 77), განია
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ბაკე, კამერონი, ირვინი
მსაჯი: დინი
36 867 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 ბოლტონი**

1:0 ფერდინანდი (16), 1:1 უოქერი (33ს.კ.)
ლესტერი: უოქერი, შიმეკა, დაბიზასი, ტაგარტი, ტეტჩერი, მ. ბენტი (სკოუკროფტი 36), ფროინდი, ნალისი (დავიდსონი 76), გაპი (ჯ. სტიუარტი 83), ლ. ფერდინანდი, დიკოვი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, ნოლანი, ფრანდსენი, კამპო, პედერსენი, ჯორკაეფი, კ. დევისი (ხავი მორენო 81)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ტეტჩერი, ნოლანი, დევისი
მსაჯი: რენიე
26 674 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 2:3 მიდლსბრო**

0:1, 0:2 ჟუნინიო პაულისტა (34, 38), 1:2 ვან ნისტელროი (45), 2:2 გიგზი (63), 2:3 ჟობი (80)
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, ოში, ვ. ბრაუნი (ფ. ნევილი 46), მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, კლებერსონი (კ. რონალდო 63), სქოულზი, ბათი (ფორლანი 87), გიგზი, ვან ნისტელროი, საჰა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა (პარნაბი 72), დორივა, ზენდენი, დოუნინგი, ჟობი, ჟუნინიო პაულისტა (კუპერი 90)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: სილვესტრი, მილსი
მსაჯი: დარკინი
67 346 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:2 ჩელსი**

0:1 პარკერი (17), 0:2 კრესპო (79)
პორტსმუთი: ჰისლოპი, პრიმუსი, დე ზეუვი, პასანენი, სტეფანოვიჩი, ქვოში, ფეიე, ბერგერი (ლუა ლუა 56), ბერკოვიჩი (მეთიუ ტეილორი 84), იაკუბუ, მორნარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ჩელსი: სალივანი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, პარკერი (ჯ. კოული 74), მაკელელე, ლამპარდი, მუტუ (კრესპო 62), გუდიონსენი (ჰასელბაინკი 71)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სტეფანოვიჩი, პარკერი, კრესპო
მსაჯი: პოლი
20 140 მაყურებელი

**ლივერპული 2:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 ოუენი (3), 1:1 რაიტ-ფილიპსი (50), 2:1 ჯერარდი (51)
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ანშო, ჰიპია, კარაგერი, ლე ტალეკი (დენი მერფი 69), ჯერარდი, ჰამანი, შეირუ (ბისკანი 85), კიუელი (ჰესკი 59), ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, დისტინი, ვან ბუიტენი, რ. დანი, რაიტ-ფილიპსი, კ. რეინა (ჯ. ბარტონი 68), ბოსველტი, მაკმანამანი, ტარნატი, ფაულერი, მაკენი (სიბიერსკი 77)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მსაჯი: რაილი
43 257 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 ნიუკასლი**

0:1 ბელამი (52), 1:1 სტიდი (85)
ბლექბერნი: ფრიდელი, დუგლასი (გალაჰერი 69), ბაბელი, ნაილი, ტოდი, ემერტონი, თუგაი, ფლიტკროფტი, გრეი, სტიდი, ენდი კოული (ნ. იოჰანსონი 90)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ობრაიენი, ბერნარი, დაიერი, სპიდი, ჯენასი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: მესიასი
23 459 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:4 ტოტენჰემი**

0:1 დევისი (10), 0:2 დეფო (43), 0:3 კინგი (46), 1:3 სტიუარტი (51), 2:3 პერი (81), 2:4 ჯეკსონი (85)
ჩარლტონი: კიელი, იანგი, ფიში, პერი, ჰრეიდარსონი, კიშიშევი (გ. სტიუარტი 33), კ. იენსენი, კონჩესკი, ჰოლანდი, ბარტლეტი (დი კანიო 55), კ. კოული (იუელი 71)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, დოჰერტი, რიჩარდსი, ტარიკო, ს. დევისი, მ. ბრაუნი, კინგი, ჯეკსონი, რობი კინი, დეფო (პოიეტი 85)
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: ფიში, იანგი, პერი
მსაჯი: ბარბერი
26 660 მაყურებელი

**ფულემი 1:2 ასტონ ვილა**

1:0 ბოა მორტე (1), 1:1 ანხელი (13), 1:2 ვასელი (32)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, პირსი, ბოკანეგრა, მალბრანკი, კლარკი (პეტა 46), ჯეტუ (ჰეილსი 70), შ. დევისი, ბოა მორტე, მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი (დე ლა კრუზი 77), მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (რიდგუელი 89), სოლანო, ჰიცლსპერგერი, ბერი (უიტინგემი 80), ვასელი, პ. ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: დევისი, ნაითი, ბერი
გაძევება: ბოკანეგრა (75)
მსაჯი: ნაითი
16 153 მაყურებელი

**ბირმინგემი 3:0 ევერტონი**

1:0 ჯონსონი (8), 2:0 ლაზარიდისი (39), 3:0 ფორსელი (49)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ტებილი, პარსი, კანინგემი, აპსონი, დ. ჯონსონი, სევიჯი (დიუგარი 63), ბ. ჰიუზი, ლაზარიდისი (ჯონი 76), ფორსელი (მარტინ ტეილორი 80), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ანსუორთი (პისტონე 46), ნეისმიტი, რუნი, კარსლი, გრავესენი, კილბეინი, რაძინსკი (მაკფადენი 60), დ. ფერგიუსონი (კ. კემპბელი 46)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ტებილი
მსაჯი: ჰალსი
29 004 მაყურებელი

# ცეროდენას თავურები ფერგის კარში



მანჩესტერი — მიდლსბრო. ფრანკ კედრუმ ივაჟკაცა, ვან ნისტელროის ერთზე მეტი არ გაატანინა

**ახლა** დავჯდეთ და ვითვალოთ, ვინ გახდება ინგლისის ჩემპიონი. ამ შუა კვირის შემდეგ, 25 ტურის თავზე „არსენალი" 5 ქულით უსწრებს „მანჩესტერ იუნაიტედს". თუმცა, „მანჩესტერის" ყოფილი მეორე მწვრთნელი სტივ მაკლარენი ამბობს, ყველაფერი წინ არისო და ყველამ იცის, რომ „მანჩესტერს" კუდის მოქნევა შეუძლია.

მაკლარენი ახლა „მიდლსბროს" მენეჯერია და მის ხელში „ბორო" ხშირად ამწარებს „მანჩესტერს". „ბორომ" ამჯერადაც ლახვარი ჩასცა სერ ალექსს და „ოლდ ტრეფორდზე" მოუგო.

წინა ორ ტურში „მანჩესტერი" ორჯერ უგებდა სხვადასხვა გუნდებს ორი და სამი ბურთით, მერე მეტოქეებმა გაათანაბრეს და „იუნაიტედმა" მაინც შეძლო ამ მატჩების მოგება. ახლა კი პირიქით მოხდა — პირველი ტაიმის მიწურულს, ოთხწუთიან მონაკვეთში, ჟუნინიომ ორი გოლი გაუტანა ტიმ ჰოვარდს და ორივე თავით.

მეკარისა და მცველების შეცდომებს მოყოლილ ამ გოლებს თამაშის შემდეგ მძაფრი კრიტიკით შეხვდა სერ ალექს ფერგიუსონი.

„მანჩესტერი" მაინც არ წახდენილა და ორი გოლი ოც წუთში ამოილო. თუმცა, ამ ჯერზე საქმე სხვაგვარად დატრიალდა: ჟოზეფ ჟობმა 80-ე წუთზე 8 მეტრიდან გაიტანა. მასპინძლებს მაინც შეეძლოთ გათანაბრება — ბოლო წამებზე, დიეგო ფორლანის ორი მეტრიდან დარტყმული თავური კარს აცდა.

„ბორო" ტრადიციულად პრობლემებს გვიქმნის — თქვა ფერგიუსონმა — ძალიან იოლი გოლები გავუშვით. რაც შეეხება ჩემპიონობისთვის ბრძოლას, წინ საკმაო დროა."

ოთხშაბათსვე „ჩელსი" სტუმრობდა „პორტსმუტს" და ჩელსურადაც მოიგო: „ჩარლტონისგან" ნაყიდმა სკოტ პარკერმა სადებიუტო თამაშშივე შეაგდო. მომჯობინებულმა ერნან კრესპომ კი, შეცვლაზე რომ შევიდა, თამაშის მიწურულს გაიტანა. ამ ორ გოლს შუა იყო პატრიკ ბერგერის ძელი, კლაუდიო რანიერი კი კმაყოფილი ჩანდა: „არსენალთან" სათასო თამაშის წინ კარგ ხასიათზე ვართო.

სკოტ პარკერის გარეშე კი უჭირს „ჩერლტონს", რომელმაც ზედიზედ მეორედ, ამჯერად შინ, „ტოტენჰემთან" წააგო. „ტოტენჰემმა" ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა ოთხი გოლი და ბოლო ექვს ტურში მეხუთედ მოიგო. კვლავ გაიტანა ახალნაყიდმა ჯერმენ დეფომ და საერთოდ, სტუმრები მსახვრალად, 3:0-საც იგებდნენ.

ასევე, აგრძელებს მოგებათა სერიას „ასტონ ვილა", რომელმაც ამჯერად ლონდონში სძლია ბოლოსკენ კაცნაკლულ „ფულემს".

14 ტურია არ მოეგო „მანჩესტერ სიტის" და 25 ოქტომბრის შემდეგ არ გაუტანია გოლი ლივერპულელ მაიკლ ოუენს. [illegible] ლელობა გაგრძელდა, ტრავმებით ტანჯულმა ბიჭმა კი ნავსი გატეხა. მან მე-3 წუთზევე გაიტანა, რასაც მეორე ტაიმში მოჰყვა შონ რაიტ ფილიპსის გოლი, რომელიც სტივ მაკმანამანის გამომგონებლობამ შვა. თუმც, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი სტივენ ჯერარდი არც ამჯერად წავიდა უგოლოდ, რისთვისაც „სიტის" მეკარე დევიდ ჯეიმსისთვის უნდა ეთქვა მადლობა.

ამ დროს კი „ბირმინგემმა" 3:0 დააშამათა წინა ტურის მარცხიანი გმირი „ევერტონი".

„ნიუკასლი" ბლექბერნს ეწვია და კრეიგ ბელამიმ გოლით აღნიშნა მწყობრში დაბრუნება, თუმცა გრემ სუნესს უკვე ჰყავს ახალი გმირი: 21 წლის ჯონათან სტიდი, რომელმაც წინა ტურში „ბლექბერნს" ბოროში მოაგებინა, ახლა კი ქულა უშოვა. 2 მატჩი, 2 გოლი — ძალიან მაგარი რამეა ბიჭისთვის, რომელიც ორი კვირის წინ მესამე დივიზიონის „ჰადერსფილდში" თამაშობდა.

„ეს ყველფერი ძალიან ჰგავს ალან შირერის ბიჭობის დროს" — თქვა ჯონის მპოვნელმა მენეჯერმა. ღმერთმა უსმინოს გრემ სუნესს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჯონათან სტიდი საშირეროდ ემზადება

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 25 | 18 | 7 | 0 | 49:16 | 33 | 61 | 12 | 10 | 2 | 0 | 24:8 | 16 | 32 | 13 | 8 | 5 | 0 | 25:8 | 17 | 29 |
| 2 მანჩესტერი | 25 | 18 | 2 | 5 | 49:23 | 26 | 56 | 13 | 9 | 2 | 2 | 29:12 | 17 | 29 | 12 | 9 | 0 | 3 | 20:11 | 9 | 27 |
| 3 ჩელსი | 25 | 17 | 4 | 4 | 46:19 | 27 | 55 | 12 | 8 | 2 | 2 | 21:8 | 13 | 26 | 13 | 9 | 2 | 2 | 25:11 | 14 | 29 |
| 4 ლივერპული | 25 | 10 | 8 | 7 | 36:27 | 9 | 38 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 20 | 13 | 4 | 6 | 3 | 18:14 | 4 | 18 |
| 5 ნიუკასლი | 25 | 9 | 11 | 5 | 35:26 | 9 | 38 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:8 | 13 | 24 | 12 | 2 | 8 | 2 | 14:18 | -4 | 14 |
| 6 ჩარლტონი | 25 | 10 | 7 | 8 | 34:30 | 4 | 37 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:20 | -2 | 15 | 13 | 6 | 4 | 3 | 16:10 | 6 | 22 |
| 7 ასტონ ვილა | 25 | 10 | 6 | 9 | 30:28 | 2 | 36 | 12 | 7 | 3 | 2 | 17:10 | 7 | 24 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:18 | -5 | 12 |
| 8 ფულემი | 25 | 10 | 5 | 10 | 37:35 | 2 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 16:20 | -4 | 12 |
| 9 ბირმინგემი | 24 | 9 | 8 | 7 | 23:26 | -3 | 35 | 12 | 5 | 4 | 3 | 14:14 | 0 | 19 | 12 | 4 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 16 |
| 10 ბოლტონი | 25 | 8 | 10 | 7 | 31:37 | -6 | 34 | 12 | 3 | 7 | 2 | 14:11 | 3 | 16 | 13 | 5 | 3 | 5 | 17:26 | -9 | 18 |
| 11 ტოტენჰემი | 25 | 10 | 3 | 12 | 35:38 | -3 | 33 | 13 | 7 | 1 | 5 | 24:19 | 5 | 22 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:19 | -8 | 11 |
| 12 საუთჰემპტონი | 25 | 8 | 7 | 10 | 23:23 | 0 | 31 | 13 | 6 | 3 | 4 | 13:8 | 5 | 21 | 12 | 2 | 4 | 6 | 10:15 | -5 | 10 |
| 13 მიდლსბრო | 24 | 8 | 7 | 9 | 26:29 | -3 | 31 | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | -5 | 13 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 2 | 18 |
| 14 ბლექბერნი | 25 | 7 | 6 | 12 | 36:40 | -4 | 27 | 12 | 3 | 2 | 7 | 19:23 | -4 | 11 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:17 | 0 | 16 |
| 15 ევერტონი | 25 | 6 | 7 | 12 | 28:36 | -8 | 25 | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 4 | 19 | 12 | 1 | 3 | 8 | 9:21 | -12 | 6 |
| 16 სიტი | 25 | 5 | 9 | 11 | 33:37 | -4 | 24 | 12 | 2 | 7 | 3 | 17:15 | 2 | 13 | 13 | 3 | 2 | 8 | 16:22 | -6 | 11 |
| 17 პორტსმუთი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:39 | -11 | 23 | 12 | 6 | 1 | 5 | 22:14 | 8 | 19 | 13 | 0 | 4 | 9 | 6:25 | -19 | 4 |
| 18 ლესტერი | 25 | 4 | 9 | 12 | 33:47 | -14 | 21 | 13 | 2 | 6 | 5 | 14:23 | -9 | 12 | 12 | 2 | 3 | 7 | 19:24 | -5 | 9 |
| 19 ლიდსი | 25 | 5 | 5 | 15 | 23:50 | -27 | 20 | 13 | 3 | 4 | 6 | 13:20 | -7 | 13 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:30 | -20 | 7 |
| 20 ვულვზი | 25 | 4 | 8 | 13 | 22:51 | -29 | 20 | 12 | 4 | 5 | 3 | 15:21 | -6 | 17 | 13 | 0 | 3 | 10 | 7:30 | -23 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 16 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |

### XXVI ტური

21 თებერვალი

ასტონ ვილა — ბირმინგემი
ბოლტონი — სიტი
ჩარლტონი — ბლექბერნი
ჩელსი — არსენალი
ლივერპული — პორტსმუთი
მანჩესტერი — ლიდსი
ნიუკასლი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ევერტონი
ტოტენჰემი — ლესტერი
ვულვზი — ფულემი

### ასოციაციის თასი

#### 1/16 ფინალი. გადათამაშება

**ტელფორდი 0:2 *მილუოლი***

0:1 აიფილი (37), 0:2 უაიზი (83)

#### 1/8 ფინალის წილისყრა

14 თებერვალი: ფულემი — ვესტ ჰემი; მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი; სანდერლენდი — ბირმინგემი; მილუოლი — ბარნლი; ტრანმერი — სუონსი
15 თებერვალი: არსენალი — ჩელსი; ლივერპული — პორტსმუთი; შეფილდ იუნაიტედი — კოლჩესტერი


REUTERS რომიდან

მილანელი ჯენარო გატუზო ლუჩანო ძაურისთან ვერაფერს გახდა

# აღარასოდეს განმეორდები

## მანჩინიმ კრანიოტის ფინალი შეუგზავნა

**იტალია**

თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

**ლაციო 4:0 მილანი (2:1)**

1:0 სეზარი (11), 2:0 ლივერანი (16), 3:0, 4:0 ფიორე (36, 42)

ლაციო: სერენი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი (მუცი 73), ფავალი, ფიორე, ალბერტინი (ძაური 63), ლივერანი, სეზარი, კორადი (ს. ინძაგი 71), კ. ლოპესი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

მილანი: აბიატი, შიმიჩი, ლაურსენი, კოსტაკურტა, კალაძე, ბროკი, ფ. რედონდო, სერჟინიო, რუი კოშტა (ზეედორფი 46), შევჩენკო (ფ. ინძაგი 46), ბორიელო (გატუზო 69)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, კოსტაკურტა

გაძევება: ბროკი (58)

მსაჯი: კოლინა

55 000 მაყურებელი

„ლაციო“ ფინალშია, ხოლო „მილანს“ ყველა ჯილდოს მოგების სურვილი ამ სეზონში დაუკმაყოფილებელი დარჩება — ორი მატჩის ჯამში რომაელებმა თასის აწ უკვე ყოფილ მფლობელს 6:1 მოუგეს.

„მილანმა“ ამ შეხვედრაში თავიდანვე ვერ ათამაშა მცირედ ტრავმირებული ფილიპო ინძაგი და ამიტომ ანდრეი შევჩენკოს იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდთან, მარკო მორიელოსთან მოუხდა პარტნიორობა. ოდნავ უკნიდან მათ რუი კოშტა ეხმარებოდათ. პირველი სახიფათო მომენტი სწორედ სტუმრებმა შექმნეს: ანდრეი შევჩენკოს დარტყმა მატეო სერენიმ უკვე მე-4 წუთზე მოიგერია.

შემდეგ „მილანის“ მეკარემ, კრისტიან აბიატიმ გადააგდო ძელს უკან თავისივე მცველის, ალესანდრო კოსტაკურტას უკან მიბრუნებული ბურთი, ხოლო კუთხურიდან ჩაწოდებული კლაუდიო ლოპესმა ააცილა.

საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ „ლაციოს“ ძლიერი სტარტი ჰქონდა — მე-11 წუთზე ფაბიო ლივერანიმ ძალიან ჭკვიანური პასი მიაწოდა სეზარს და მანაც ფაციფუცის გარეშე გახსნა ანგარიში. ლივერანის თამაშიც განსაკუთრებით ხვდებოდა თვალს და მეორე გოლი პირველიდან ხუთი წუთის შემდეგ თავად ამ ნახევარმცველმა შეაგდო. ამას მესამე გოლამდე ოცწუთიანი პაუზა მოჰყვა, 36-ეზე ბერნარდო კორადიმ სტეფანო ფიორეს დაუგორა, ხოლო მან უმძლავრესად დაარტყა.

და პირველ ტაიმში გავიდა მეოთხე გოლიც. თავი ისევ ფიორემ გამოიჩინა, როდესაც მისი დარტყმული კოსტაკურტას მოხვდა და ისე შევარდა „მილანის“ კარში.

იყო კიდევ ერთი მომენტი: დარიო შიმიჩმა კლაუდიო ლოპესის თავური ხელით შეაბრკოლა, მაგრამ „მილანი“ მეხუთე გოლისთვის შეიბრალა თუ სხვა რამ მიზეზით, პიერლუიჯი კოლინამ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა.

მეორე ტაიმში კი „მილანის“ შემადგენლობაში გამოჩნდნენ ინძაგი და კლარენს ზეედორფი, რაც თავიდანვე იმით დაეტყო მოედანს, რომ ინძაგის დარტყმული ბურთი, სერენის ბრწყინვალე რეაქცია რომ არა, „ლაციოს“ კარში შევარდებოდა.

57-ე წუთზე მსაჯის გინებისთვის კოლინამ კრისტიან ბროკი დაითხოვა მოედნიდან, რის შემდეგაც ეშხში შესულ ლოპესს კიდევ ერთი გოლის შეგდება შეეძლო, მაგრამ კრისტიან აბიატიმ ფეხებით მოიგერია.

და ბოლოს იყო კიდევ ერთი მომენტი, როდესაც ინძაგიმ ბურთს თავი გაჰკრა და ძელს გაარტყა.

„ბედნიერი ვარ, რადგან ნამდვილად გვინდოდა ფინალში გასვლა და თან დიდი გუნდი დავამარცხეთ. ამიერიდან თასის აღებაზე უნდა ვიფიქროთ, სხვა მიზანი ველარ გვექნება. ძალიან კმაყოფილი ვარ, მთელი თამაშის განმავლობაში ყურადღებით რომ ვითამაშეთ. 2:0-ის შემდეგ კი ჩვენი მოგება ეჭვს აღარ იწვევდა. მინდა ეს გამარჯვება ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს, სერჯო კრანიოტის მივუძღვნა, რადგან მას ახლა რთული პერიოდი უდგას (იგი დააპატიმრეს)“, — განაცხადა „ლაციოს“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

ორი გოლის ავტორმა, სტეფანო ფიორემ კი განაცხადა: „გოლების გატანა ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩემი უშუალო საქმე გუნდის დახმარებაა და მთავარი ეს გახლავთ. რაც შეხება ჩვენს გამარჯვებას, ამაზე ვიტყვი, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. იქნებ დღეს იტალიაში უძლიერესი გუნდი სწორედ „მილანიც“ იყოს, მაგრამ თასის ნახევარფინალის ამ ორ თამაშში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ფინალში თამაშის ღირსები ვართ.“

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „ასე თამაში სირცხვილი გახლდათ და იმედი მაქვს, მსგავსი აღარაფერი განმეორდება. „ლაციოს“ კი მინდა კომპლიმენტები ვუძღვნა. რაც შეეხება მიზეზებს, მინდა გითხრათ, რომ მიზეზი ბევრია, რომლებზე ლაპარაკიც შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთი რამ მსურს, დავივიწყო ყველაფერი. თასის მოგება ნამდვილად გვინდოდა, მაგრამ რ გაეწყობა...“

**პაპუნა ძიდია**


REUTERS რომიდან

სტეფანო ფიორემ მილოცვა ორჯერ მიიღო

# მორიენტესმა თავისუფლება სამ გოლად იყიდა

**საფრანგეთი**

თასის 1/8 ფინალი

**მონაკო 4:1 ლიონი**

0:1 ელბერი (14), 1:1, 2:1, 3:1 მორიენტესი (45, 59, 62), 4:1 პრსო (86)

**ამიენი 1:0 კაენი**

1:0 ბურონი (9)

**შატორუ 2:0 კრეტეი**

1:0 რუდე (29), 2:0 გაი (41)

**ტულუზი 1:1დ.დ.(პენ.6:7, 1:1) რენი**

1:0 ფორი (27), 1:1 მონტერუბიო (64)

**ნანტი 4:0 ბრესტი**

1:0 მოლდოვანი (10), 2:0 პაილერე (37), 3:0 მოლდოვანი (58პ), 4:0 გ. პუიოლი (74)

**დიჟონი 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1) რეიმსი**

1:0 ლორანი (24), 1:1 დიანე (35)


REUTERS მონტე კარლოდან

ფერნანდო მორიენტესი

„წინა სეზონში თამაშის და გოლის გემო დაკარგული მქონდა, ახლა კი გავიხსენე“ — თქვა საფრანგეთის თასის მესამე ეტაპზე „ლიონთან“ მატჩის მერე მონაკოელმა ფერნანდო მორიენტესმა. გუშინწინ საღამოს, როცა ეს თამაში გაიმართა, მორიენტესმა სამი გოლი გაიტანა, რომელთა წყალობითაც „მონაკომ“ ჩემპიონს სძლია. წინა სეზონში კი მორიენტესს თამაშის და გოლის გემო მადრიდის „რეალში“ დაავიწყეს, სადაც ერთთავად სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებდნენ.

„ბედნიერი ვარ, რომ მყავს მწვრთნელი, რომელიც მოედანზე თავისუფლებას მანიჭებს, სქემებით არ მზღუდავს და სრულიად მენდობა“ — დასძინა ესპანელმა. მისი მწვრთნელი კი მოგეხსენებათ, დიდიე დეშანია. რამდენიმე წლის წინ დეშანს და მორიენტესს ერთმანეთის წინააღმდეგაც უხდებოდათ თამაში, როცა დეშანი „ვალენსიას“ ფეხბურთელი იყო.

ისიც გავიხსენოთ, რომ დეშანმა მორიენტესი დამტვრეული შაბანი ნონდას შესაცვლელად იყიდა.

მორიენტესს არც დეშანი ჩამორჩა და ხურდა დაუბრუნა: „დღეს ყველა ჩემი ფეხბურთელი შეუდარებელი იყო. ერთი ისაა, რომ დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეელია „რეალი“ მორიენტესს.“

არადა, „ლიონი“ რევანშისთვის ემზადებოდა — ერთი თვის წინ ჩემპიონატში მონაკოელებისგან 0:3 იწვნია და შურისძიების წყურვილი ჰკლავდა.

დასაწყისი ლიონელებს ცუდს არაფერს უქადდათ. ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა ანგარიში მალევე გახსნა და საერთოდაც, „ლიონი“ მთელი თავით სჯობდა მეტოქეს.

პირველი ტაიმის წამატებულ დროში კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — მორიენტესმა ანგარიში გაათანაბრა და ლიონელებს ხასიათი ცოტათი გაუფუჭა.

თუმცა ხასიათის გაფუჭება მეორე ტაიმში უნდა გენახათ. სამწუთიან მონაკვეთში, 58-ედან 61-ე წუთამდე, მორიენტესმა კიდევ ორი გოლი გაიტანა და „მონაკოს“ გამარჯვება გამოჭედა. წელში გაწყვეტილ ლიონელებს მეოთხე გოლი ხორვატმა დადო პრსომ უთავაზა.

ეს გამარჯვება „მონაკოსთვის“ იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ დეშანს ბლომად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აკლდა. ზოგი გადატვირთული კალენდრის გამო იყო გადაღლილი, ზოგიც — ლუდოვიკ ჟული, პატრიკ ევრა და სებასტიან სკილაჩი დაშავებულები იყვნენ.

**ირაკლი ნინიძე**


REUTERS მონტე კარლოდან

ემანუელ ადებაიორის „მონაკო“
ჟერემი ბერტოდის „ლიონს“ ერთ თვეში მეორედ გადაახტა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXIII ტური**

**რეინჯერსი 2:0 კილმარნოკი**
1:0 კ. მური (23), 2:0 ნამუში (76)
*ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე ტრავმირებულნი არიან*

**დანფერმლაინი 1:4 სელტიკი**
1:0 ჰანტი (20), 1:1 ლარსონი (23), 1:2 ვარგა (26), 1:3 ლარსონი (43), 1:4 ა. ტომპსონი (68)

**ჰართსი 1:0 აბერდინი**
1:0 პრესლი (81პ)

**მოზერუელი 5:3 დანდი**
0:1 ბარეტი (11), 1:1 ლესლი (15), 2:1 დაირი (18), 2:2 ბარეტი (28), 3:2 კლარკსონი (51), 3:3 ნოვო (58), 4:3 ბარნსი (62), 5:3 დაირი (73)

**პარტიკი 5:2 ლივინგსტონი**
1:0 გრედი (10), 2:0 ბრიტონი (41), 3:0 მაკნამი (68ს.კ.), 4:0 ბრიტონი (73), 5:0 ტომსონი (82), 5:1 მაკელი (85), 5:2 მაკმენამინი (90)

**დანდი იუნ. 0:0 ჰიბერნიანი**

# ტომპსონმა ხელოვნურზე ისრიალა

**უქართველებოდ** ნათამაშევმა ტურმა ვერაფერი შეცვალა — გლაზგოურ დაპირისპირებაში სხვაობა კვლავაც თერთმეტი ქულაა.

„დანფერმლაინმა“ ყინჩად დაიწყო „სელტიკთან“ მატჩი და გოლიც გაუტანა კელტებს — ირლანდიის ოცდაერთწლამდელთა ნაკრების ფორვარდი ნოელ ჰანტი მოხდენილად აიწოწა და საგოლედ დაჰკრა ბურთს თავი.

ერთიც, „დანფერმლაინი“ ხელოვნურსაფრიან მოედანზე მასპინძლობდა „სელტიკს“ და სტუმრებს ვინძლო რამდენიმე წუთი დასჭირდათ ფართობის შესაჩვევად. „სელტიკიდან“ ალან ტომპსონი გამოირჩა — მან სამი საგოლე პასი მიითვალა და მერე თვითონაც შეაგდო — მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც ტომპსონი დასახელდა.

„რეინჯერსს“ კი ქართველების გარდა მიკელ არტეტაც შეუძლოდ გაუხდა — ახალგაზრდა ბასკი ბრაზილიელმა ემერსონმა შეცვალა და „აიბროქსზეც“ საუკეთესოდ ის შერაცხეს. რაც შეეხება გოლებს, კრეიგ მურმა ახლოდან შეაგდო, ხოლო მეორე გუნდიდან აყვანილი ფრანგი ჰამედ ნამუში პირისპირ გავიდა „კილმარნოკის“ მეკარესთან და ისე გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**



REUTERS დანფერმლაინიდან

გლაზგოელი სტილიან პეტროვი და მასპინძელი ალან ტომსონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 22 | 1 | 0 | 75:10 | 67 |
| რეინჯერსი | 23 | 18 | 2 | 3 | 48:18 | 56 |
| ჰართსი | 22 | 12 | 3 | 7 | 31:24 | 39 |
| დანფერმლაინი | 23 | 9 | 7 | 7 | 28:33 | 34 |
| მოზერუელი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:27 | 27 |
| ჰიბერნიანი | 23 | 7 | 6 | 10 | 23:35 | 27 |
| დანდი იუნ. | 23 | 7 | 6 | 10 | 23:36 | 27 |
| ლივინგსტონი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:28 | 26 |
| დანდი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:35 | 25 |
| კილმარნოკი | 23 | 6 | 3 | 14 | 26:51 | 21 |
| აბერდინი | 22 | 5 | 4 | 13 | 26:41 | 19 |
| პარტიკ თისლი | 23 | 3 | 3 | 17 | 25:45 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 24 |
| ნოვო (დანდი) | 20 |
| სატონი (სელტიკი) | 19 |
| **არველაძე** (რეინჯერსი) | 17 |
| კროუფორდი (დანფერმლაინი) | 15 |

*შენიშვნა: დაჯამებულია შოტლანდიის ჩემპიონატში, ეროვნულ ნაკრებში, ევროთასებზე და რაგინდარა ტურნირებზე გატანილი გოლები*

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**გადადებული მატჩი**

**ლიუბეკი 1:1 დუისბურგი**
0:1 აჰანფუფი (32), 1:1 აჯიჩი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი | 19 | 10 | 5 | 4 | 34:21 | 35 |
| ნიურნბერგი | 19 | 9 | 5 | 5 | 33:23 | 32 |
| კოტბუსი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:26 | 32 |
| მაინცი | 19 | 8 | 7 | 4 | 30:23 | 31 |
| ალემანია | 19 | 9 | 4 | 6 | 32:30 | 31 |
| უნტერჰახინგი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:28 | 29 |
| კარლსრუე | 19 | 8 | 4 | 7 | 22:24 | 28 |
| არმინია | 19 | 8 | 3 | 8 | 29:24 | 27 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:21 | 27 |
| ლიუბეკი | 19 | 6 | 8 | 5 | 31:27 | 26 |
| ფიურტი | 19 | 5 | 8 | 6 | 33:31 | 23 |
| რეგენსბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 25:26 | 23 |
| აუე | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | 23 |
| დუისბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 24:27 | 23 |
| ტრირი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:33 | 20 |
| ალენი | 19 | 6 | 2 | 11 | 20:32 | 20 |
| უნიონი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:25 | 17 |
| ოსნაბრიუკი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:35 | 16 |

## ჰოლანდია

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**ფეიენოორდი 0:3 ალკმაარი**
0:1 კ. პერესი (23), 0:2 ელხატაბი (47), 0:3 ლანძაატი (68პ)

**დენ ჰააგი 3:1 გრონინგენი**
| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 1051 | მარტინი-ნიტრა | 1,75 | 4,2 | 3,0 | 1,23 | 1,1 | 1,75 |
| 20.00 | 1053 | სკალიცა-პოპრადი | 1,55 | 4,2 | 4,0 | 1,13 | 1,11 | 2,04 |
| 20.00 | 1054 | მიკულაში-ტრენჩინი | 2,7 | 4,2 | 1,75 | 1,64 | 1,06 | 1,23 |
| 20.00 | 1055 | კოშიცე-ჟილინა | 1,45 | 4,4 | 4,6 | 1,09 | 1,1 | 2,24 |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 1052 | სლოვანი-ზვოლენი | 1,75 | 4,2 | 3,0 | 1,23 | 1,1 | 1,75 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1068 | მანჰაიმი-დიუსელდორფი | 1,8 | 4,4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1,71 |
| 23.00 | 1070 | კრეფელდი-ფრაიბურგი | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1081 | ამბრი-დავოსი | 2,2 | 4,4 | 2,25 | 1,46 | 1,11 | 1,48 |
| 22.30 | 1082 | ბაზელი-ლუგანო | 5,3 | 5,3 | 1,3 | 2,65 | 1,04 | 1,04 |
| 22.30 | 1083 | ბერნი-ფრიბურგი | 1,35 | 5,3 | 4,8 | 1,07 | 1,05 | 2,51 |
| 22.30 | 1084 | კლოტენი-ლანგნაუ | 1,3 | 5,3 | 5,3 | 1,04 | 1,04 | 2,65 |
| 22.30 | 1085 | ლოზანა-რაპერსვილი | 2,1 | 4,4 | 2,35 | 1,42 | 1,1 | 1,53 |
| 22.30 | 1086 | ცუგი-ციურიხი | 2,1 | 4,4 | 2,35 | 1,42 | 1,1 | 1,53 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 1121 | იოკერიტი-ჰამეენლინა | 1,7 | 4,6 | 3,1 | 1,24 | 1,09 | 1,85 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 05.00 | 1155 | ბუფალო-ლოს ანჯელესი | 2,25 | 3,5 | 2,45 | 1,36 | 1,17 | 1,44 |
| 05.00 | 1156 | ნეშვილი-ვაშინგტონი | 1,65 | 3,6 | 3,6 | 1,13 | 1,13 | 1,8 |
| 05.00 | 1157 | მინესოტა-ედმონტონი | 2,05 | 3,6 | 2,7 | 1,3 | 1,16 | 1,54 |
| 06.00 | 1158 | კალგარი-ანაჰაიმი | 1,8 | 3,6 | 3,2 | 1,19 | 1,15 | 1,69 |
| 06.00 | 1159 | ფინიქსი-აილენდერსი | 2,3 | 3,6 | 2,35 | 1,4 | 1,16 | 1,42 |
| 07.00 | 1160 | ვანკუვერი-ატლანტა | 1,5 | 3,8 | 4,0 | 1,07 | 1,09 | 1,94 |
| | | **რაგბი. ექვსი ერის თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 1301 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,12 | 20,0 | 5,3 | 1,06 | 1 | 4,18 |
| 20.00 | 1302 | უელსი-შოტლანდია | 1,22 | 20,0 | 3,8 | 1,14 | 1 | 3,19 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 1303 | იტალია-ინგლისი | 14,0 | 30,0 | 1,01 | 9,54 | 1 | 1 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5513 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | აინტრახტი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ბოხუმი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | კიოლნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ლაციო-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | პერუჯა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ანკონა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ბოლონია-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ბრეშა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ინტერი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ლეჩე-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | სიენა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | იუვენტუსი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | მურსია-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სოსიედადი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | მალიორკა-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | დეპორტივო-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | მალაგა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ვილიარეალი-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ბეტისი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ბარსელონა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | რეალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5413 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,4 |
| 5414 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,0 |
| 5415 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5416 | აინტრახტი-ჰანზა | 1,8 | 2,0 |
| 5417 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,2 | 1,7 |
| 5419 | კიოლნი-შალკე | 1,95 | 1,85 |
| 5420 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,35 | 3,2 |
| 5421 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 5422 | ლაციო-ემპოლი | 1,25 | 3,7 |
| 5424 | პერუჯა-კიევო | 1,85 | 1,95 |
| 5425 | ანკონა-რომა | 3,7 | 1,25 |
| 5426 | ბოლონია-მოდენა | 1,55 | 2,5 |
| 5427 | ბრეშა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5428 | ინტერი-უდინეზე | 1,3 | 3,4 |
| 5429 | ლეჩე-მილანი | 2,8 | 1,45 |
| 5430 | სიენა-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5431 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,2 | 4,0 |
| 5433 | მურსია-სევილია | 1,85 | 1,95 |
| 5434 | სოსიედადი-ბილბაო | 1,7 | 2,2 |
| 5435 | მალიორკა-ალბასეტე | 1,55 | 2,5 |
| 5436 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,45 | 2,8 |
| 5437 | მალაგა-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 5439 | ვილიარეალი-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5440 | ბეტისი-სარაგოსა | 1,5 | 2,6 |
| 5441 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,5 | 2,6 |
| 5442 | რეალი-ვალენსია | 1,5 | 2,6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5113 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5114 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5115 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5116 | აინტრახტი-ჰანზა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5117 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5118 | ბოხუმი-ბაიერნი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5119 | კიოლნი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5120 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5122 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5124 | პერუჯა-კიევო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5125 | ანკონა-რომა | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 4,8 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,7 |
| 5126 | ბოლონია-მოდენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5127 | ბრეშა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5128 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5129 | ლეჩე-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5130 | სიენა-პარმა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5131 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5133 | მურსია-სევილია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5134 | სოსიედადი-ბილბაო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5135 | მალიორკა-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 1,00 | 7,5 |
| 5136 | დეპორტივო-ოსასუნა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | მალაგა-ესპანიოლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5139 | ვილიარეალი-რასინგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5140 | ბეტისი-სარაგოსა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5141 | ბარსელონა-ატლეტიკო | 2,3 | 1,00 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5142 | რეალი-ვალენსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5013 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,25 | 2,15 | 4,6 | 1,09 | 1,51 | 1,46 |
| 5014 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 5015 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,5 | 2,15 | 3,6 | 1,15 | 1,47 | 1,34 |
| 5016 | აინტრახტი-ჰანზა | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 5017 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 5018 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,0 | 2,15 | 2,4 | 1,39 | 1,5 | 1,13 |
| 5019 | კიოლნი-შალკე | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 5020 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,7 | 5,6 | 1,04 | 1,3 | 1,82 |
| 5021 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,2 | 2,15 | 2,9 | 1,28 | 1,52 | 1,23 |
| 5022 | ლაციო-ემპოლი | 1,6 | 2,8 | 7.0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 5024 | პერუჯა-კომო | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5025 | ანკონა-რომა | 7,0 | 2,8 | 1,6 | 2 | 1,3 | 1,01 |
| 5026 | ბოლონია-მოდენა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5027 | ბრეშა-სამპდორია | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5028 | ინტერი-უდინეზე | 1,75 | 2,5 | 5,6 | 1,02 | 1,33 | 1,72 |
| 5029 | ლეჩე-მილანი | 6,0 | 2,15 | 2,0 | 1,58 | 1,5 | 1,03 |
| 5030 | სიენა-პარმა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5031 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 5033 | მურსია-სევილია | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5034 | სოსიედადი-ბილბაო | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5035 | მალიორკა-ალბასეტე | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 5036 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 5037 | მალაგა-ესპანიოლი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5038 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5039 | ვილიარეალი-რასინგი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5040 | ბეტისი-სარაგოსა | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 5041 | ბარსელონა-ატლეტიკო | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 5042 | რეალი-ვალენსია | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |

# რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5213 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 5215 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,0 | 1,6 |
| 5216 | აინტრახტი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5217 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2,1 | 1,55 |
| 5218 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 5219 | კიოლნი-შალკე | 1,85 | 1,75 |
| 5220 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 1,5 |
| 5221 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | ლაციო-ემპოლი | 2,0 | 1,6 |
| 5224 | პერუჯა-კომო | 1,85 | 1,75 |
| 5225 | ანკონა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5226 | ბოლონია-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 5227 | ბრეშა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5228 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 1,7 |
| 5229 | ლეჩე-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 5230 | სიენა-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 5231 | იუვენტუსი-რეჯინა | 2,0 | 1,6 |
| 5233 | მურსია-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5234 | სოსიედადი-ბილბაო | 1,85 | 1,75 |
| 5235 | მალიორკა-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5236 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |
| 5237 | მალაგა-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 5239 | ვილიარეალი-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 5240 | ბეტისი-სარაგოსა | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5242 | რეალი-ვალენსია | 1,95 | 1,65 |

# გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5313 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5314 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5316 | აინტრახტი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5318 | ბოხუმი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5319 | კიოლნი-შალკე | 1,55 | 2,1 |
| 5320 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,55 | 2,1 |
| 5322 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | პერუჯა-კომო | 1,6 | 2,0 |
| 5325 | ანკონა-რომა | 1,75 | 1,85 |
| 5326 | ბოლონია-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5327 | ბრეშა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ინტერი-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5329 | ლეჩე-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5330 | სიენა-პარმა | 1,6 | 2,0 |
| 5331 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,85 | 1,75 |
| 5333 | მურსია-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5334 | სოსიედადი-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 5335 | მალიორკა-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5336 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5337 | მალაგა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ვილიარეალი-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ბეტისი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5342 | რეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |

# ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 14.02 21.00 | 6003 | იტალია A (XXI) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 14.02 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 14.02 20.15 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 13.02 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (10.02)**
მანჩესტერი 1,9
არსენალი 1,9
ჩელსი 5,0

**9002**
**გერმანია (14.02)**
ბაიერნი 1,65
ვერდერი 2,5
შტუტგარტი 5,0
ლევერკუზენი 10,0

**9003**
**იტალია (14.02)**
მილანი 1,4
რომა 4.0
იუვენტუსი 5,0

**9004**
**ესპანეთი (14.02)**
რეალი 1,3
ვალენსია 3,8
დეპორტივო 7,5

**9005**
**საფრანგეთი (14.02)**
მონაკო 1,15
ლიონი 4,0
პსჟ 10,0

**9006**
**პორტუგალია (13.02)**
პორტუ 1,05
სპორტინგი 7,0
ბენფიკა 12,0

**9007**
**ჰოლანდია (14.02)**
აიაქსი 1,3
პსვ 2,8

**9008**
**ავსტრია (21.02)**
აუსტრია 1,35
რაპიდი 4,0
გრაცერი 5,0

**9009**
**დანია (14.03)**
ბრიონდბიუ 1,3
ესბიერგი 4,0
კოპენჰაგენი 5,0

**9010**
**საბერძნეთი (14.02)**
ოლიმპიაკოსი 1,6
პანათინაიკოსი 2,0
პაოკ 8,0

**9011**
**უკრაინა (15.02)**
შახტარი 1,55
დინამო 1,95

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**
**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**
ინგლისი 1,8
იტალია 2,5
ესპანეთი 2,9
გერმანია 9,3
საფრანგეთი 13,6

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**
რეალი 4,0
მანჩესტერი 4,6
იუვენტუსი 5,0
მილანი 5,0
ჩელსი 6,0
არსენალი 6,0
ბაიერნი 15,0
დეპორტივო 20,0
შტუტგარტი 25,0
მონაკო 25,0
ლიონი 30,0
პორტუ 40,0
სოსიედადი 40,0
სელტა 50,0
ლოკომოტივი 100,0
სპარტა 150,0

**9022**
**უეფას თასი (26.02)**
რომა 5,6
ვალენსია 6,0
ბარსელონა 6,0
ინტერი 6,0
ლივერპული 6,0
ნიუკასლი 8,0
პარმა 10,0
სელტიკი 12,0
მარსელი 15,0
ბორდო 25,0
მალიორკა 25,0
პსვ 25,0
ოსერი 25,0
გალათასარაი 30,0
ბრიუგე 30,0
პერუჯა 30,0
ბენფიკა 30,0
ვილიარეალი 30,0
ბეშიქთაში 30,0
სოშო 40,0
პანათინაიკოსი 40,0
რუსენბორგი 50,0
სპარტაკი 60,0
გენჩლერბირლ. 60,0
ბრონდბიუ 60,0
გაზიანთეფი 100,0
გროცლინი 100,0
ტეპლიცე 100,0
დნიპრო 100,0
ლევსკი 150,0
დებრეცენი 250,0
ვოლერენგა 250,0

**9031**
**NHL (05.04)**
კოლორადო 4,5
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტორონტო 7,5
სტ.ლუისი 10,0
დალასი 12,0
ტამპა ბეი 20,0
ბოსტონი 20,0
ლოს ანჯელესი 20,0
სან ხოსე 25,0
რეინჯერსი 25,0
ატლანტა 30,0
კალგარი 30,0
ანაჰაიმი 35,0
მინესოტა 35,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 50,0
ედმონტონი 60,0
ფინიქსი 60,0
კაროლინა 75,0
ჩიკაგო 75,0
ნეშვილი 75,0
ბუფალო 100,0
ფლორიდა 100,0
კოლამბუსი 125,0
პიტსბურგი 125,0
ვაშინგტონი 125,0

**9032**
**NBA (15.04)**
ლეიკერსი 1.65
საკრამენტო 4.5
სან ანტონიო 5.0
დალასი 8.0
ინდიანა 10.0
დეტროიტი 12.0
მინესოტა 12.0
ნიუ ჯერსი 15.0
ნიუ ორლეანი 25.0
ფილადელფია 40.0
ჰიუსტონი 50.0
ბოსტონი 60.0
დენვერი 60.0
ნიუ იორკი 60.0
პორტლენდი 60.0
ტორონტო 60.0
სიეტლი 75.0
იუტა 75.0
მილუოკი 75.0
გოლდენ სტ. 100.0
მემფისი 100.0
ფინიქსი 100.0
კლიპერსი 150.0
ორლანდო 150.0
მაიამი 200.0
ატლანტა 250.0
ვაშინგტონი 250.0
ჩიკაგო 250.0
კლივლენდი 300.0



მწვრთნელთა კვარტეტს ნაკრებთან და მის კანდიდატებთან სამუშაო ძალიან ბევრი აქვს



ბადრი კეთილაძის ფოტოები

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

საქართველო — პორტუგალია

15 თებერვალი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

# ნაკრებმა ხორცი შეისხა

## პორტუგალიას სორელის ხაზით და ახალი შერკინებით დავხვდებით

**პორტუგალიასთან** შეხვედრამდე დარჩენილ დღეებს მოგაგებთა ნაკრები ხარბად იყენებს. დრო ცოტა რჩება, საქართველოს ახალ ნაკრებს კი დასახვეწი უამრავი რამ აქვს. საპორტუგალიოდ დასახელებულ ოცდაორკაცა გუნდს გუშინ მწვრთნელთა „კვარტეტმა" ნაკრების კანდიდატებიც მიამატა, „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ორი გუნდი გამოიყვანა და ერთმანეთს დაუპირისპირა. მსაჯები თავად მწვრთნელები იყვნენ.

ერთი შეხედვით ნათელი გახდა, რომ ცალ მხარეს წითელ მაისურებში გამოწყობილები საკვირაოდ სასტარტოში მოსახვედრად ჩაფიქრებული მორაგბეები იყვნენ. მწვრთნელები ყველა რგოლს ალბათ კიდევ გადახედავენ. აკი თავადაც თქვეს, ჯერ თვითონაც არ ვიცით, პორტუგალიასთან რომელი თხუთმეტეულით დავიწყებითო.

ასე თუ ისე, გუშინდელი „წითლების" ოთხი მეხუთედი მაინც რომ სასტარტოში იქნება, ამას წყალი არ გაუვა. პირველი ხაზი მთლიანად ლეგიონერებით ხინჩაგაშვილით (1-3), ლვაბერიძითა (2) და კოპალიანით (1-3) შეივსო. მეორე ხაზში ნაკრების კაპიტანი ილო ზედგინიძე (4-5) და ზორბა ახალგაზრდა მამუკა გორგოძე (4-5) დააყენეს. შერკინებას მესამე ხაზად შემოეწყობიან კლოდ სორელის მიერ ადრე ნაკრებში არმიღებულები ბესიკ უდესიანი (8) და რატი ურუშაძე (7) და აგრეთვე ახალბედა ზვიად მაისურაძე (6). ალსანიშნავია, რომ ეს სრულიად განახლებული მესამე ხაზი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

თუ არ ჩავთვლით გამთამაშებლებს — ბიძინა სამხარაძესა (9) და ბობა კვინიხიძეს (10), უკანა ხაზი მთლიანად სორელის ხელში გამოწრთობილი და ერთა თასების ბრძოლებში გამოვლილი მოთამაშეებით დაკომპლექტდა. მაჩხანელს (11), ალანიას (12), ზიბზიბაძეს (13), ურჯუკაშვილსა (14) და ხამაშურიძეს (15) ძირითადში მოხვედრა არც კვირას გაუჭირდებათ. ერთადერთი პრობლემა მაჩხანელის ტრავმაა, მაგრამ ალბათ დღეს-ხვალ ამასაც მოევლება. ირაკლიმ გუშინ ერთი ტაიმი ითამაშა და მშვენიერი ლელოც გაიტანა. მის გარდა გამოსარჩევნი იყვნენ ზედგინიძე და უდესიანი.

„ყვითლებიდან" გუგავა, ბარკალაია და უჩავა აქტიურობდნენ, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა. ძირითადების ათამდე ლელოს ოდენ ორით უპასუხეს. მეორე ტაიმში გუნდებმა რამდენიმე მოთამაშე გაცვალეს. მაჩხანელის ადგილი კი ჯერ გუგავამ დაიკავა, შემდეგ ანდღულაძემ.

თამაშის შემდგომ მორაგბეებმა უმალ გასახდელს მიაშურეს. მწვრთნელების თხოვნით, მათთან ჟურნალისტების საუბარი კვირამდე შეწყვეტილია. მანამდე არც განაცხადშია რაიმე ცვლილებები მოსალოდნელი. პორტუგალიასთან თამაშიდან ერთ კვირაში ბორჯღალოსნები ესპანეთს ესტუმრებიან.

პორტუგალიელი „ლობოსები" თბილისში დღეს საღამოს, შვიდის ნახევარზე პარიზის რეისით ჩამოდიან. ხვალ ოთხ საათზე ვაკეში ივარჯიშებენ, ხოლო თამაშის მეორე დილას შინ გაფრინდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭადრაკი

# აზმაიფარაშვილს რევანში გამოუვიდა

## ნინო გურიელი გადადგომას აპირებს

ჭადრაკის ფედერაციაში დატრიალებული დენთის სუნი ჯერ არ გაფანტულა. ფედერაციის თანაპრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ორიოდ დღის წინ პრეზიდენტ ნინო გურიელს კულუარული ინფორმაციით ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში დასდო ბრალი.

ამის შემდეგ საპასუხო სვლა ნინო გურიელს უნდა გაეკეთებინა, პრეზიდენტმა ცხელ გულზე რაიმე განცხადების გაკეთებისგან თავი შეიკავა და ჟურნალისტებისთის პასუხის გაცემა მეორე დღეს, 11 თებერვალს პრესკონფერენციაზე გადაწყვიტა.

11 თებერვალს პრესკონფერენცია არ შემდგარა, გურიელმა კიდევ ერთი დღე ითხოვა, გუშინ კი კაბინეტში გვიხმო და ფურცელზე დაწერილი განცხადება წაგვიკითხა, ჟურნალისტების კითხვების დიდ ნაწილს კი თავი აარიდა.

მას-მედიასთან შესახვედრად გურიელთან ერთად მაია ჩიბურდანიძეც უნდა ყოფილიყო, როგორც პრეზიდენტი ამბობსბ მას მხარს უჭერენ მოჭადრაკე ქალები თუმც მცირე ლოდინის შემდეგ მან მარტომ დაიწყო:

ნინო გურიელის განცხადებას მცირეოდენი კორექტურით გთავაზობთ



ნინო გურიელის თქმით მისი და ზურაბ აზმაიფარაშვილის შერიგება მოჩვენებითი იყო

ბადრი კეთილაძის ფოტო

### ნინო გურიელის განცხადება

უაღრესად აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ვარ იმ ყველაფრით, რაც ზოგიერთმა ტელეკომპანიამ გადასცა ორი დღის წინ აქ ჩატარებული გამგეობის კრების შემდეგ.

ცხადია, ჟურნალისტებს ამ ყველაფერში ვერ დავადანაშაულებ, იმიტომ, რომ თავად არ ვიყავი საქმის კურსში, რომ ჩემი ოთახის მიღმა, ჭადრაკის სასახლის დერეფანში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ულირსი პიროვნების მიერ მოწყობილ შეთქმულებას ჩემს წინააღმდეგ. ამიტომაც იმდღევანდელი ჩემი კომენტარი იყო ნამდვილად არაადეკვატური. კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ჩემს მიმართ გაისმა ყოვლად შემზარავი გამონათქვამები ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით.

ძალიან მწყინს, რომ ქვეყანაში მომხდარი ცვლილებებით სარგებლობენ ულირსი ადამიანები, რომლებსაც სერიოზული პრობლემები აქვთ ზნეობასთან. არ მეგონა თუ ეს საჭადრაკო სამყაროს შეეხებოდა.

ცილისწამება დაიწყო რევოლუციიდან სულ მოკლე ხანში ანონიმური წერილით, რომელშიც მოხსენებული ვარ მოქალაქეთა კავშირის წევრად.

პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ არასოდეს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. ნამდვილად ვიყავი მთავრობის ბლოკის საარჩევნო სიაში, რომლის ხელმძღვანელიც იყო ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც ძალიან დიდი ამაგი აქვს ქართულ ჭადრაკზე.

კომისიას, რომელიც ჩემი მონაწილეობით შეიქმნა და რომელზეც აპელირებდნენ ბინძური კამპანიის მონაწილენი, რეალურად არანაირი ფინანსური დარღვევა არ აღმოუჩენია. ბუნებრივია, ხარვეზების გარეშე არც ერთი დაწესებულება არ არსებობს და უშეცდომო არც მე გახლავართ, მაგრამ ჩვენს ფედერაციას სამწუხაროდ არც ერთი თეთრი სპონსორებისგან არ მიუღია და ფინანსდებოდა მხოლოდ მიზნობრივად. გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული ფედერაცია სწორედ ფინანსური კუთხით. ასევე გაავრცელა ინფორმაცია ორ ტრაილერზე დატვირთული რკინის მილების შესახებ, რომლის გაყიდვითაც თურმე მე ბინა შევიძინე. ტრაილერის საჭესთან ალბათ ჩემი მეუღლე ზურაბ სტურუა იჯდა.

მინდა გულწრფელად გითხრათ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე არ შემიქმნია დიდი ქონება, არ მაქვს სამწუხაროდ ფეშენებელური მანქანა, ძვირფასი აგარაკი ან ანგარიში შვეიცარიის ბანკში, მაგრამ მე მაქვს საკმაოდ დიდი სახელი და ჩემი ხალხის სიყვარული, რომლითაც ვამაყობ და არავის მივცემ უფლებას, ჩემთვის ყველაზე წმინდას შეეხოს.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა გამორიცხა პიროვნული მომენტი ჩვენს დაპირისპირებაში. ალბათ ყველას გახსოვთ, 4 წლის წინ მოხდა სერიოზული განხეთქილება მასსა და მოჭადრაკე ქალებს შორის და არა მარტო ჩვენს შორის, რაც დასრულდა რიგგარეშე ყრილობით და აზმაიფარაშვილის გადადგომით. მაშინ მე პრინციპულად დავუპირისპირდი მას, მაგრამ შემდეგ მოხდა შერიგება. დღევანდელი გადასახედიდან ყოველივე ფარსი აღმოჩნდა, რადგან სახეზეა რევანშის მცდელობა. ჩვენი ურთიერთობა მუდმივად ულტიმატუმების ენაზე მიმდინარეობდა.

პირველი ულტიმატუმი გახლდათ, რომ ის არ იასპარეზებდა ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებში, თუ ნანა ალექსანდრიას მხარს დავუჭერდი და მსაჯად წარვადგენდი. ჩემი გადაწყვეტილებით რომ ვაჟთა გუნდი არ დაშლილიყო, უსაყვარლეს პიროვნებას ვაწყენინე. მიუხედავად იმისა, რომ აზმაიფარაშვილის ყველა ფინანსური მოთხოვნა დავაკმაყოფილე, ის მედავება, რომ მე ერთპიროვნულად ვწყვეტდი ყველა საკითხს, მათ შორის ხელფასებს. მიაჩნია, რომ ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გიორგაძე რადგან აღარ თამაშობენ, ხელფასს აღარ უნდა იღებდნენ. მე ასე არ ვფიქრობ.

აზმაიფარაშვილი ფიქრობს, რომ ფედერაციამ ვერ შექმნა საჭირო ატმოსფერო, რათა ის გამხდარიყო ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენი. მიუხედავად ამისა, ჩვენ თვითონ დავაწესეთ ოქროს მედალი საუკეთესოსთვის და მას გადავეცით.

2003 წელს ჩვენი ფედერაცია სამართლიანად აღიარეს საუკეთესო ფედერაციათა სამეულში. ხოლო თუ რა გავაკეთე ჩემი პრეზიდენტობის დროს, ეს მოჭადრაკეებმა უკეთ იციან.

მოგახსენებთ ჩემს გადაწყვეტილებას. 7 მარტს ვიწვევ რიგგარეშე ყრილობას, რომელსაც ჩემს ორწლიან ანგარიშს ჩავაბარებ და დავტოვებ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს.

*სეზონის წინ მოსკოვის ცსკა-ში გადასული გიორგი ცინცაძე დუბლიორებში ფეხის მყარად მოკიდების შემდეგ ძირითადი გუნდისკენ მიიბრძვის. გასულ კვირაში ცსკა-ს დუბლებმა პოდმოსკოვიეს „დინამო" ორრაუნდიან ბრძოლაში დაამარცხეს და რუსეთის თასის მერვედფინალში გავიდნენ. პირველ მატჩში ცინცაძემ 31 ქულა მოაგროვა, მეორეში 17 და ცსკა-ს მწვრთნელის დუშან ივკოვიჩის მოწონება დაიმსახურა. ივკოვიჩმა ქართველი რუსეთის სუპერლიგის მატჩში „ევრაზის" წინააღმდეგ სათამაშოდ შეიგულა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცინცაძეზე რუსულ ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზია არ ყოფილა გაცემული...*

# ცსკა-ს სკამიც კარგია

## ცინცაძემ ევროლიგა დაინახა



— ეს რომელი თასია, ცსკა-ს ძირითადი გუნდი რატომ არ მონაწილეობს მასში?

— ჩვეულებრივი რუსეთის თასი, მაგრამ ცსკა ისედაც ბევრ ფრონტზე იბრძვის და თასზე დუბლიორებით გადაწყვიტა გამოსვლა. დანარჩენი სუპერლიგელები ძირითადი გუნდებით თამაშობენ, თუმც ახლა ქვემოლიგელი შეგვხვდა და დავამარცხეთ კიდეც.

— თავი გისახელებია ამ მატჩებში. ალბათ, გამოხმაურებაც მოჰყვა ამ ამბავს...

— გამოხმაურება არ ვიცი, მაგრამ მე და ჩემს გუნდელ ვალერი ლიხოდეის ძირითად გუნდში დაგვიპირეს დაყენება ეკატერინბურგის „ევრაზის" წინააღმდეგ. ეს უშუალოდ ივკოვიჩის ინიციატივა იყო, ეგ ბიჭები ძირითად გუნდშიც უნდა გამოვცადოო, უთქვამს ჩემი მწვრთნელისთვის ანდრეი პაშუტინისთვის.

— მაშ, რაღატომ აღარ ითამაშე, ივკოვიჩის სიტყვა ხომ კანონია ცსკა-ში?

— ივკოვიჩის ავტორიტეტი განუსაზღვრელად დიდი კია, მაგრამ წესი წესია და ულიცენზიო მოთამაშეს არავის შეაყვანინებენ განაცხადში. რუსეთში, ისევე როგორც წამყვან ევროპულ ქვეყნებში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. 5 უცხოელის შეყვანა შეიძლება განაცხადში. ამერიკელ მარკუს ბრაუნს ტრავმა კი ჰქონდა, მაგრამ რადგან რუსები თავიდან ძირითად გუნდში თამაშს არ მიპირებდნენ, ლიცენზიაც არ აუღიათ ჩემთვის. ასე რომ, ცსკა-ს დიდ გუნდში თამაშის შანსი დავკარგე.

— ევროლიგის ლიცენზია ხომ გაქვს? იქ უცხოელებზე ლიმიტი არ არის...

— ევროლიგაში თამაშის იმედი ნაღდად მაქვს. „მაკაბისთან" დღევანდელ მატჩზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ ჩვენები მოიგებენ, ჯგუფში პირველ ადგილს გაინაღდებენ და ბოლო ტურს აზრი ეკარგება ცსკა-სთვის. ასეთ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ბოლო ტურში ივკოვიჩი ვილნიუსში „ჟალგირისთან" მათამაშებს.

— როგორ ატყობ, მომავალში მაინც თუ დამკვიდრდები ცსკა-ს ძირითად გუნდში?

— რა გითხრა, იმედი მაქვს, მაგრამ მომავალი სეზონისთვის ცსკა განსაკუთრებულად ძლიერი უნდა იყოს, რადგან მომდევნო ევროლიგის ოთხთა ფინალი მოსკოვში უნდა გაიმართოს და რუსები ყველაფერს გააკეთებენ მის მოსაგებად.

— შეადარე აკადემიელი და ცსკა-ს გიორგი ცინცაძე.

— ფიზიკურად დავიხვეწე, დაცვაც და შეტევაც გამოვაკეთე, მწვრთნელებს სულ ჩემი პროგრესი აკერიათ პირზე.

— ერთ-ერთი ბომბარდირი ხარ დუბლიორთა შორის, თუმც ის მატჩიც გვახსოვს, 17 პასი რომ გააკეთე, თბილისში უფრო ბურთის სროლას ეშურებოდი, ვიდრე სხვისთვის მიწოდებას...

— 17-პასიანი მატჩები ისტორიას ჩაბარდა. არა, შედეგიანი გადაცემების კეთებას რა სჯობია, მაგრამ მე უფრო შეტევა მეხერხება და მწვრთნელებიც აქეთკენ მიბიძგებენ. თავიდან, ახალი მოსული რომ ვიყავი, წამდაუწუმ ფარში სროლა მერიდებოდა და ძირითადად პასებზე ვფიქრობდი, თუმც ახლა უკვე გავშინაურდი. მწვრთნელიც იმას მეუბნება, საკუთარ თავზე აიღე თამაშიო და მეც მეტი რა მინდა. მაგრამ არც პასებს ვივიწყებ.

— ორიოდ თვის წინ ძირითად გუნდში სავარჯიშოდ გადაგიყვანეს...

— ახლაც დიდ გუნდთან ვვარჯიშობ, როცა ცსკა მოსკოვშია. დუბლიორებიდან მხოლოდ მე და ვიარცევი დავდივართ დიდი გუნდის ვარჯიშებზე.

— ცსკა-ს ვარსკვლავებთან თუ მეგობრობ?

— მეგობრობით არა, მაგრამ თითქმის ყველა ლეგიონერთან ძალიან ახლოსა ვარ, განსაკუთრებით კი ბრაუნთან და პაპალუკასთან. რუსები უფრო რთული საურთიერთო ხალხია, მხოლოდ სავრასენკოსა და ვიარცევთან ვახლობლობ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ორლანდოს ზეიმი მოელანდა

## ფაჩულიამ პირველად დაიწყო და ცუდად დაამთავრა

11 თებერვალი

**ორლანდო 98:111 მაიამი**
**ორლანდო:** ლუ (10), ბოგანსი (5), მაკგრეიდი (24), ფოვარდი (22), ფაჩულია (19 წუთი, 1 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება); გუდენი (11), გირიჩეკი (14), სტრიკლენდი (4), ჰანტერი (2), გეინისი
**მაიამი:** ვეიდი (24), ალსტონი (23), ჯონსი (6), ოდომი (18), გრანტი (16); ბატლერი (12), ჰეისლიმი (7), ალენი (2)

**დეტროიტი 94:96 საკრამენტო**
**დეტროიტი:** ჰამილტონი (27)
**საკრამენტო:** ბიბი (26), სტოიაკოვიჩი (25)

**ჰიუსტონი 102:87 ლეიკერსი**
**ჰიუსტონი:** მინგი (29)
**ლეიკერსი:** ონილი (24)

**კლივლენდი 85:105 ნიუ ჯერსი**
**კლივლენდი:** უილიამსი (14)
**ნიუ ჯერსი:** კიტლზი (27)

**მემფისი 110:102 კლიპერსი**
**მემფისი:** გასოლი (22)
**კლიპერსი:** ბრენდი (24)

**იუტა 66:77 მინესოტა**
**იუტა:** კირილენკო (21)
**მინესოტა:** კასელი (24)

**გოლდენ სტეიტი 110:99 ფინიქსი**
**გოლდენ სტეიტი:** კარდინალი (32)
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (33)

**ნიუ ორლეანი 106:98 ნიუ იორკი**
**ნიუ ორლეანი:** დევისი (29)
**ნიუ იორკი:** მარბერი (29)

**ფილადელფია 113:88 ვაშინგტონი**
**ფილადელფია:** აივერსონი (25)
**ვაშინგტონი:** დიქსონი (21)

„ორლანდო მეჯიქს" დაარსებიდან 15 წლისთავის ზეიმი ჩამწარდა. მეორე ფლორიდულმა გუნდმა „მეჯიქზე" ზუსტად ერთი წლით უფროსმა „მაიამი ჰითმა" მეზობელს მთელი საღამო ჩაუშხამა.

„ორლანდოს" ასე უხეირო გუნდი 1992 წლის შემდეგ არ ჰყოლია, მაგრამ „მეჯიქის" ხელმძღვანელობამ პატარ-პატარა ღონისძიებები მაინც მოაწყო. მაგალითად, დასახელდა კლუბის 15-წლიანი ისტორიის 10 საუკეთესო მობურთალი და თუმც „მეჯიქის" მაისურით ოდესღაც შაკილ ონილსა და ანფერნი ჰარდევეის უთამაშიათ და 1995 წელს გუნდი ფინალშიც გაუყვანიათ, ამ სიაში პირველ კაცად მაინც თანამედროვე „ორლანდოს" ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ეწერა.

„მაიამისთან" მაკგრეიდიმ არც ცუდად ითამაშა და არც კარგად — 22 ქულა ჩააგდო, მაგრამ ვინაიდან მისმა გუნდმა უიმედოდ წააგო, ლიდერის გარჯა მაინც უარყოფითად შეფასდა. აბა, რა იქნება, როცა შენი გუნდი უკვე პირველი ტაიმის ბოლოსკენ 35:60 ჩამორჩება მეტოქეს, ან ეს რა მეტოქე იყო, „მაიამის" ზედიზედ ხუთჯერ წაგო და ნახა, რა, შიმშილის მოსაკლავი ფუნთუშა.

თავად „მეჯიქმა" კი შვიდამდე გაზარდა ზედიზედ მარცხების „საპატიო" სერია. ორლანდოში ამას მაინცდამაინც კატასტროფად არ აღიქვამენ. ყოველ შემთხვევაში, სეზონის საწყისში ზედიზედ ჩაფლავებული 19 თამაშის შემდეგ.

„ამათი ვერაფერი გამიგია — თანაგუნდელებზე წყრებოდა „მეჯიქის" ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი — ასე მგონია, არდადეგებზე არიან. ჩვენ ვერ მოვხვდებით პლეი ოფში, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიპოვოთ რაიმე, რისთვისაც ბრძოლას დავიწყებთ, არა და უფსკრულში მივექანებით."

ამ მარცხში გარკვეული წილი მიუძღვის ჩვენებურ ზაზა ფაჩულიასაც. მწვრთნელმა ჯონი დევისმა ქართველ ცენტრს ბოლო შეხვედრებში გულმოდგინე გარჯა დაუფასა და ხუთეულში დააწყებინა თამაში. სასტარტო ხუთეულში თავისი დებიუტი ფაჩულიამ თითქოს კარგად დაიწყო, ცენტრში ბურთის სადაო გდება მაიამელ ბრაიან გრანტს მოუგო, მაგრამ მერე მის თანაგუნდელ ჯუონ ჰოვარდს თამაშის პირველივე სროლა ლამარ ოდომმა დაუფარა და „ორლანდომაც" აურია. ვერც ფაჩულია ყოჩაღობდა, თამაშიდან მხოლოდ ორჯერ შეუტია კათალს, ორივე ააცილა და 19 წუთში ერთადერთი ქულით შემოიფარგლა.

სამაგიეროდ, მაიამელი ახალბედა დუეინ ვეიდი ბობოქრობდა და 27 ქულაც მიითვალა.

ვიღაცა ბევრს აგებს, ვიღაცა იგებს. „ნიუ ჯერსი ნეთსის" მწვრთნელმა ლოურენს ფრენკმა ზედიზედ ათამდე გაზარდა სადებიუტო მომგებიანი სერია — მისმა „ბადეებმა" კლივლენდში იქაური ვარსკვლავბიჭუნა ლებრონ ჯეიმსი ჩააქრეს და 20 ქულითაც იმარჯვეს.

ახალი მწვრთნელი უმართლებს „ფილადელფია სიქსერზსაც", კრის ფორდმა სადებიუტო მატჩში „ვაშინგტონი" 25 ქულით გაანადგურა.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა საკრამენტოში — იქაური „კინგზი" დეტროიტის „პისტონსს" დაუხვდა და 48-წუთიანი ომის შემდეგ ბოლო წამებზე მოუგო. ოლ სტარს და სამქულიანების კონკურსს მშვენიერ ფორმაში ხვდება საკრამენტოელთა სერბი სნაიპერი პრედრაგ სტოიაკოვიჩი. კრის ვებერის არყოფნაში „მეფეთა" მეფედ აღზევებულმა და ამ მძიმე ტვირთის მსუბუქად ამწევმა პეჯამ „დეტროიტს" ოთხი სამქულიანი ჩაუგდო.

„მის წინააღმდეგ ფულს არ დავდებდი — ამბობს სტოიაკოვიჩზე მისი მწვრთნელი რიკ ადელმანი — პეჯა საუკეთესო მსროლელია ლიგაში, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ."

ადელმანს შესაძლოა, ბევრი არ დაეთანხმოს. სტოიაკოვიჩის პირველობა დასტურ სადაო აზრია, ისევე, როგორც შაკილ ონილის თანამედროვეობის უძლიერეს ცენტრად დასახელება. შაკის პირველობის მონუმენტი ბოლო დროს საგრძნობლად შეარყია იაო მინგმა. ოლ სტარის გამოკითხვას თავი დავანებოთ, წოწოლა ჩინელი უკვე პირად შეხვედრებშიც ჯობნის ვეება შაკს. „ჰიუსტონისა" და „ლეიკერსის" მორიგ შეხლაში მინგმა ოდნავ გადაწონა მძიმე ოპონენტი — 37 წუთში 29 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა. ონილის ანგარიშზე კი 41 წუთში 24 ქულა და 9 მოხსნაა. ამასთან შაკმა ექვსი პერსონალურით ვადაზე ადრე დაამთავრა თამაში და რაც მთავარია, მინგის „ჰიუსტონმა" 15 ქულით მოუგო შაკის „ლეიკერსს".

**კოტე ყორშია**



ზაზა ფაჩულია მაიამელ ლამარ ოდომს ხელს უშლის

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 31 | 20 | 60,8 |
| ნიუ იორკი | 25 | 29 | 46,3 |
| ბოსტონი | 23 | 30 | 43,4 |
| ფილადელფია | 22 | 31 | 41,5 |
| მაიამი | 22 | 32 | 40,7 |
| ვაშინგტონი | 16 | 34 | 32,0 |
| ორლანდო | 13 | 41 | 24,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 39 | 14 | 73,6 |
| დეტროიტი | 33 | 21 | 61,1 |
| ნიუ ორლეანი | 28 | 24 | 53,8 |
| მილუოკი | 27 | 24 | 52,9 |
| ტორონტო | 25 | 25 | 50,0 |
| კლივლენდი | 20 | 33 | 37,7 |
| ატლანტა | 18 | 35 | 34,0 |
| ჩიკაგო | 14 | 38 | 26,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 37 | 15 | 71,2 |
| სან ანტონიო | 35 | 18 | 66,0 |
| დალასი | 33 | 19 | 63,5 |
| ჰიუსტონი | 30 | 22 | 57,7 |
| მემფისი | 30 | 22 | 57,7 |
| დენვერი | 30 | 23 | 56,6 |
| იუტა | 26 | 27 | 49,1 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 37 | 13 | 74,0 |
| ლეიკერსი | 31 | 19 | 62,0 |
| პორტლენდი | 24 | 26 | 48,0 |
| სიეტლი | 24 | 27 | 47,1 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 28 | 45,1 |
| კლიპერსი | 22 | 29 | 43,1 |
| ფინიქსი | 18 | 37 | 32,7 |




# ბიჭი მოედანზე დაეცა

ამ ბოლო დროს სათამაშო მოედნებზე ერთობ გახშირდა ტრაგიკული შემთხვევები. თუ აქამდე ფეხბურთელებს არ უმართლებდათ, ახლა წყეულმა სიკვდილმა კალათბურელებსაც დარია ხელი. გუშინწინ შვედეთის ჩემპიონატის მატჩისას მოედანზე გარდაიცვალა „აკროპოლის“ ლატვიელი ლეგიონერი რაიმონდას იუმიკისი.

„აკროპოლი“ „იუმტლენდს“ ხვდებოდა და მეორე მეოთხედის მეხუთე წუთი საბედისწერო გამოდგა იუმიკისისთვის. აკროპოლელი ფორვარდი მოულოდნელად მოწყვეტით დაეცა ფიცარნაგზე და გული გაუჩერდა — რაიმონდასი მოედანზევე დაიღუპა.

იუმიკისი საკმაოდ ახალგაზრდა, 23 წლის პერსპექტიული კალათბურთელი იყო და ლატვიის ეროვნული ნაკრების კანდიდატადაც ითვლებოდა. მას ნათამაშები ჰქონდა თავისი ქვეყნის კადეტთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში, ხოლო შვედურ კლუბში, სადაც ის „ბკ კიევიდან“ მივიდა, მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ.

ექიმებს ჯერ არ დაუდგენიათ გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი...



## ევროლიგა

XIII ტური. 12 თებერვალი

**A ჯგუფი**

ბარსელონა 95:91 პარტიზანი
ძირითადი დრო 83:83
ციბონა 82:55 რომა

**B ჯგუფი**

კრკა 65:72 ჟალგირისი
უნიკახა 83:78 პანათინაიკოსი
სიენა 76:69 სკიპერი
ცსკა 80:83 მაკაბი

**C ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 82:61 ვილერბანი
ეფესი 95:92 შლიონსკი



## იტალია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

*ინტერი* 2:2დ.დ.(პენ.4:5, 2:2) *იუვენტუსი* (2:2)

## ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

*სარაგოსა* 0:0 ალავესი (1:1)

## ამხანაგური მატჩი

იაპონია 2:0 ერაყი

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

აეკ — ირაკლისი *გადაიდო*



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# რეინჯერსის ჯერიც დადგა

11 თებერვალი

**დეტროიტი 4:2 სან ხოსე**

*1:0 2:1 1:1*

**1:0 მოლტბი (12), 2:0 ჰოლმსტრიომი (28), 2:1 ეკმანი (30), 3:1 აიზერმანი (37), 4:1 აიზერმანი (49), 4:2 პრიმო (53)**

სამი მეკარის პატრონი „დეტროიტი“ ერთის ანაბარალა დარჩა. „სარბიელის“ წინა ნომერში დომინიკ ჰაშეკის პრობლემებზე რომ ვწერდით, ამ დროს „წითელფრთიანები“ მორიგ მატჩს მართავდნენ „სან ხოსესთან“ და სწორედ იქ დაშავდა კერტის ჯოზეფი — კუჯომ პირველივე პერიოდში, ფეხი იტკინა. რალას იზამდნენ მასპინძლები, მეორე პერიოდში მენი ლეგასი გაიყვანეს ყინულზე. „ხვალ გაირკვევა, რა სახის ტრავმა მივიღე, მაგრამ ვგრძნობ, დიდხანს არ უნდა გასტანოს, მალე დავბრუნდები“ — დააიმედა ჯოზეფმა გულშემატკივრები.

უნდა ითქვას, რომ „დეტროიტის“ თამაშზე ამ უსიამოვნებამ გავლენა ვერ მოახდინა. „წითელფრთიანები“ პირველი წუთებიდანვე გაბატონდნენ მოედანზე და მოგება სულაც არ გასჭირვებიათ. ამ საქმეში დიდი როლი გუნდის კაპიტანმა სტივ აიზერმანმა ითამაშა. მისმა ორმა შაიბამ საბოლოოდ გადაუწურა იმედი სტუმრებს.

„ვინ იფიქრებდა, რომ აიზერმანი „გრინდერების“ ხაზში გამწესდებოდა და ამით იამაყებდა. ჩვენი კაპიტანი ნამდვილად მისაბაძია“ — თქვა აიზერმანის მუდმივმა პარტნიორმა კრის დრეიპერმა. მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებული „გრინდერების“ მთავარი მოვალეობა მეტოქის ლიდერების გაუვნებლობაა. აიზერმანის დარ ვარსკვლავებს ასეთ შავ სამუშაოს არ ასრულებინებენ, მაგრამ კაპიტანი ბრწყინვალედ ართმევს თავს მწვრთნელების დავალებას, ხოლო „გრინდერების“ ყველა გოლს ოქროს ფასი აქვს.

**კოლუმბუსი 3:2 ლოს ანჯელესი**

*0:1 2:0 0:1 1:0*

**0:1 ფროლოვი (5), 1:1 შპაჩეკი (21), 2:1 ჯონსონი (29), 2:2 კორვო (50), 3:2 ვიბორნი (62)**

**ნიუ ჯერსი 1:3 რეინჯერსი**

*0:2 1:1 0:0*

**0:1 პოტი (14), 0:2 მირონოვი (20), 0:3 ლაკუტიური (25), 1:3 სტივენსონი (35)**

„რეინჯერსს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. თუ ნიუიორკელებს ზედიზედ მეშვიდედ პლეი ოფს მიღმა დარჩენა არ სურთ, ყველა მატჩში მაქსიმუმს უნდა მიაღწიონ, თუნდაც მათი მეტოქე თავად ჩემპიონი იყოს. ამჯერად „რეინჯერსმა“ შეძლო, დისციპლინის ეტალონად აღიარებულ „ნიუ ჯერსის“ ორგანიზებულად შეუტია და დააჩოქა კიდეც.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ჩატარებულ 36 მატჩში „რეინჯერსმა“ მხოლოდ ერთხელ (!) აჯობა „ნიუ ჯერსის“.

**ჩიკაგო 5:2 ნეშვილი**

*2:1 3:0 0:1*

**0:1 არხიპოვი (5), 1:1 ბელი (16), 2:1 ბერარდი (19), 3:1 ჟამნოვი (22), 4:1 სალივანი (26), 5:1 ვანდერბუში (29), 5:2 ჰოლი (45)**

**დალასი 4:4 აილენდერსი**

*1:0 1:2 2:2 0:0*

**1:0 ბუშე (16), 1:1 ეშამი (13), 2:1 ოლივერი (29), 2:2 ჩერკავსკი (35), 2:3 კვაშა (42), 3:3 ტარჯონი (55), 3:4 ანტერი (59), 4:4 გერინი (60)**

**ანაჰაიმი 5:3 ფინიქსი**

*2:1 3:2 0:0*

**0:1 ჰალსი (5), 1:1 ჰაველიდი (15), 2:1 ფიოდოროვი (17), 2:2 ტაფი (23), 3:2 ლუპული (24), 3:3 სავაჟი (32), 4:3 პროსპალი (33), 5:3 სიკორა (38)**

**ედმონტონი 5:1 ატლანტა**

*2:0 0:1 3:0*

**1:0 ტორესი (11), 2:0 ლარაქი (14), 2:1 ობენი (23), 3:1 პორკოფი (43), 4:1 სტოლი (53), 5:1 ჰემსკი (60)**

ამ მატჩში საოცრება მოხდა — ბაირონ დაფომ საწყის [illegible] მიიღო ტრავმა, 59-ე წუთზე კი პასი ნურმინენი ჩაერია მასობრივ ჩხუბში და თამაშის [illegible] გააძევეს. ასე რომ, „ატლანტას“ მეკარე აღარ შერჩა და იძულებული შეიქნა, ბოლო წუთები ექვსი მოთამაშით ჩაეტარებინა. შედეგად სტუმრების კარში კიდევ ერთი შაიბა გავიდა. ეს საბოლოო განაჩენი გახლდათ — უპლეიოფობა.

„კარგი რამ იყო. აქამდე ნჰლ-ში ჩხუბის გემო არ ვიცოდი. დღეს გავიქნ-გამოვიქნიე მუშტი და ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა. ისედაც სამშაიბიანი სხვაობით ვმარცხდებოდით. ასე რომ, ჩემი გაძევებით დიდად არ ვიზარალეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ ნურმინენმა.

**ვანკუვერი 2:3 კალგარი**

*2:1 0:1 0:1*

**1:0 სალო (12), 2:0 რუუტუ (14), 2:1 კონროი (18), 2:2 კობასიუ (29), 2:3 იგინლა (41)**

რა ქნან ნჰლ-ის მესვეურებმა, შავ დღეში არიან და არ იციან, რა ილონონ, როგორ აღიდგინონ ავტორიტეტი. ბევრი უფიქრიათ და ახალი პროექტი შეუდგენიათ, რომელიც ოთხშაბათს გაახმიანეს. თითქოს მისი განხორციელებით შედეგიანობა გაიზრდება და ჰოკეისადმი ინტერესიც გაღვივდება. ძირითადი ცვლილებები კი ასეთია: მეკარეთა ფეხსაფრების სიგანე 12 დიუმიდან 10-მდე შემცირდება და თან მათ კარიდან გამოსვლა აეკრძალებათ... ბოსების ახალი მცდელობა ყველა მოთამაშემ ერთგვაროვნად შეაფასა — ეს უაზრობაა. ზოგმა დასცინა კიდეც ბოსებს. „ტორონტოს“ მეკარე ედ ბელფორმა კი გულახდილად თქვა, ალბათ ხუმრობენ, თორემ მაგ წესებს ვინ დათანხმდებაო.

ცნობისათვის, ბოლო 15 წელიწადში საშუალო შედეგიანობა ერთ თამაშში 7,5 გოლიდან 5-მდე შემცირდა.

**სამველ ლარიბიანი**



# რუზეცკიმ მოისმინა და არაფერი თქვა

დოპინგის ხმარებაში ეჭვმიტანილი გრეგ რუზეცკი ამ ორიოდ დღის წინ მონრეალში ანტი-სადოპინგო მოხელეებს წარუდგა. რაზე საუბრობდნენ ჩოგბურთელი და ჩოგბურთის სანიტარები მთელი რვა საათის განმავლობაში, უცნობია. გრეგ რუზეცკი უკანა კარიდან გაეპარა დადარაჯებულ ჟურნალისტებს, ხოლო მისმა ადვოკატმა კომენტარის გაკეთების მთხოვნელებს უპასუხა — „ოღონდ დღეს არა!“

გავიხსენოთ, რომ რუზეცკის ივლისში ინდიანაპოლისის ტურნირზე ჩაბარებული ანალიზის მიხედვით მსოფლიო სპორტს მოდებულ სტიმულატორ ნანდროლინის მიღებაში ედება ბრალი. რუზეცკის ურყევი კომენტარი მისი ყველა წინამორბედის იდენტურია — ის ამბობს, რომ შეგნებულად არ მიუღია არავითარი აკრძალული ნივთიერება.

თუ დანაშაული დაუმტკიცდა, გრეგს ორი წლით მოუწევს ჩოგანთან და კორტთან გამომშვიდობება, ამას კი იქნებ კარიერის დამთავრების ფასი ედოს. რუზეცკიმ კარგა ხანია გადაიარა ფორმის პიკი და ვეტერანებში ჩაეწერა.



გრეგ რუზეცკი სადოპინგო მოსმენაზე ცოლთან ერთად მივიდა და უკანა კარიდან გამოვიდა

სან ხოსე. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:4, 6:2; ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) — ზეკ ფლეიშმენი (აშშ) 6:1, 6:3**

**მეორე წრე**

**მარდი ფიში (3, აშშ) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:3, 3:6, 7:6 (7:2); რობერტ კენდრიკი (აშშ) — ტაილორ დენტი (4, აშშ) 6:4, 6:4; ჟანმიშელ გემბილი (აშშ) — კი ჯეი ჰიპენ შტილი (აშშ) 6:3, 6:2**

# ენდის ახლა მოუნდა

ავსტრალიის ღია პირველობამდელმა უსტაბაშმა ენდი როდიკმა მორიგი ჩრდილოამერიკული კამპანია ჩია ბელიგიელის კრისტოფ როხუსის ბერტყვით დაიწყო. როხუსი კაცურად გაირჯა და როდიკის ნაგლაჯუნევ ბურთებს ისე გულმოდგინედ სდია, რომ მილეთის ჰალალი ალტაცებაც დაიმსახურა. მაგრამ — ეგ იყო და ეგ. გასულ უქმეებზე ავსტრიელთა დევისრბევისას სარეკორდო, საათში 150-მილიონი (241,4 კმიანი) მოწოდების გამშვებმა ენდიბოიმ გაზზე თავიდანვე დაჭერილი ფეხი ბოლოს კიდევ უფრო დააჭირა და მატჩიც მალე მოაგვირისტა. მისი 16 ეისისა და ზედაც 13 საქულე დარტყმის წილი როხუსს მხოლოდ 16 დარტყმა დაუგროვდა.




REUTERS ლონდონიდან

# ცვილის ჯონი და ბრინჯაოს მეჯიქი

მოაწია იმ დრომაც, რომ ინგლისის კიდევ ერთი გმირი ჩამომდგარიყო მადამ ტიუსოს მუზეუმში. ინგლისის საყვარელი მორაგბის ჯონი უილკინსონის ცვილის ფიგურა ზუსტად ისე ჩამომდგარა, როგორც თავად ჯონი ჩამოდგება ხოლმე საჯარიმოებისა და გარდასახვების დარტყმის წინ. ლონდონიდან ძალიან შორს კი, ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენტრში“ დაუდგამთ დიადი კალათბურთელის ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონის ბრინჯაოს ქანდაკება — 17 ფუტის სიმაღლისა და 2,800 გირვანქის წონისა. თავად მეჯიქი გახსნაზე სხვა ლეგენდასთან, ძველ თანაგუნდელთან ქერიმ აბდულ ჯაბართან ერთად მისულა.




REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ჩინური საფუძველი

ჩინელი ბავშვები ვარჯიშობენ და სპორტის ანბანს ეუფლებიან. ეს საუცხოოა. ჩინეთში კვლავაც მოქმედებს საბავშვო სპორტსკოლათა სისტემა, ზუსტად ისეთი სისტემა, როგორიც ერთ დროს საბჭოთა კავშირში იყო 300 ათასი ჩინელი ბავშვი მისდევს ტანვარჯიშს, პინგპონგს, ცურვას, ბადმინტონს, ფრენბურთსა და ფეხბურთს, რაც, რომ გავხედოთ, იმ შედეგს იძლევა, რომ ჩინურ ყულაბაში 1600 უმაღლესი რანგის შეჯიბრებათა მედალი დევს და ტყუილად არ იქნება პეკინი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელი.





REUTERS პეკინიდან



REUTERS ლონდონიდან

# ზარა ემზადება

ზარა ფილიპსი ბრიტანეთის ოლიმპიური იმედია ცხენოსნობაში. ეს ცხენი, „არდფილდ მეჯიქ სტარი“ მისი საყვარელი ცხენია. ზარა წლეულს ბრიტანეთის ოფიციალური წარგზავნილიც იქნება წინასაოლიმპიადო სამდღიან ღონისძიებაზე, ათენში რომ ჩატარდება. რა დავამატოთ? ეს კოხტა გოგო დედოფალ ელისაბედ მეორის შვილიშვილია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge